



შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი
სამართლის ფაკულტეტი

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

თემა: მტკიცებულებათა დასაშვებობის პროცესუალური ასპექტები
სისხლის სამართალწარმოებაში

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი:

მარიამ მარიხაშვილი

ნაშრომის ხელმძღვანელი :

პროფესორი

სერგო

ჭელიძე

თბილისი

2019

შინაარსი

ანოტაცია -----	3
Anotation -----	4
შესავალი -----	5
თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა-----	7
თავი II. პრობლემის კვლევა/ანალიზი-----	9
2.1 მტკიცებულებათა წარმოშობის და განვითარების ისტორიული ასპექტები-----	9
2.2 მტკიცებულებათა სახეები -----	14
2.3 მტკიცებულების დასაშვებობა, როგორც მტკიცებულების შეფასების აუცილებელი კომპონენტი-----	30
2.3.1. მტკიცებულების დასაშვებობის ცნება და ელემენტები-----	40
2.4. ცალკეული სახის მტკიცებულების დასაშვებობის პრობლემები-----	50
თავი III. კვლევის შედეგები -----	60
დასკვნა -----	63
გამოყენებული ლიტერატურა -----	65

ანოტაცია

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება მტკიცებულებათა დასაშვებობის პროცესულურ ასპექტებს სისხლის სამართალწარმოებაში. ნაშრომში განხილულია მტკიცებულებათა წარმოშობისა და განვითარების ისტორია, მისი ცალკეული სახეები და ნიშან-თვისებები, ასევე გამოკვეთილია მტკიცებულებათა დასაშვებობისათვის განსაზღვრული პროცესული საკითხები.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავალის, სამი ძირითადი თავის, ხუთი პარაგრაფის და დასკვნისაგან, რომელსაც ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა და მთლიანობაში მოიცავს თაბახზე ნაბეჭდ ნ ო გვერდს.

სამაგისტრო ნაშრომში საფუძვლიანად არის განხილული ისეთი საკითხები, როგორცაა: მტკიცებულებათა წარმოშობისა და განვითარების ისტორიული ასპექტები, მტკიცებულებათა ცალკეული სახეები, მტკიცებითი პროცესის თავისებურებანი, მტკიცებულებათა დასაშვებობის ცნება და ელემენტები და ცალკეული სახის მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემები.

Anotation

The submitted Master work is dedicated to the procedural aspects of admissibility of the evidences in criminal proceeding. In the work, it's been discussed history of origin and development of the evidences, it's separable types and features, also it's been outlined procedural issues, wich are determined for the admissibility of evidences.

The master work consists of introduction, three main chapters, five paragraphs and conclusion, which are attached a list ot the used literature and it totally includes 66 pages, printed on the sheet of paper.

In the master work, it's thoroughly discussed such issues as they're: historical aspects of origin and development of the evidences, concepts and elements of admissibility of the evidences and the problems of admissibility of certain kinds of evidences. In the first chapter, it's been discussed all significant literatures, which I got acquainted in order to study the theme perfectly. The second chapter includes the study of the concepts and types of the evidences themselves, where it's deeply been explained all characteristics, also the basic accent has been made on the procedural issues themselves, which play great role during the admissibility of the evidences. In the third chapter, it's been reviwed the results, got on the basic of the research and in the form of conclusion ,it's finally spoken about the evaluations and recommendation.

შესავალი

თემის აქტუალობა. სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება მტკიცებულებათა დასაშვებობის პროცესულურ ასპექტებს სისხლის სამართალწარმოებაში.

ეს თემა, პირველ რიგში, იმით არის მნიშვნელოვანი, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში შეუძლებელია მტკიცებულებების გარეშე დანაშაულის გამოძიება და პირისათვის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება. გამომდინარე იქიდან, რომ დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აგებულია თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპზე, მხარეებს თანაბარი უფლებები და მოვალეობები ეკისრებათ იმისათვის, რათა კანონის შესაბამისად ამტკიცონ/უარყონ ფაქტები.

ამაში კი ყველაზე მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სწორედ მტკიცებულებები, რომელიც უშუალო კავშირშია დანაშაულთან და მხოლოდ მისი მეშვეობით არის შესაძლებელი ჭეშმარიტების დადგენა სისხლის სამართლის საქმეზე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, მართალია, არ არის დაწვრილებით და ამომწურავად ჩამოთვლილი, თუ რა სახის მტკიცებულებებია დაუშვებელი, თუმცა მასში განსაზღვრულა გარემოებები, რომლის არსებობის შემთხვევაშიც მტკიცებულება არ უნდა იქნეს დაშვებული საქმის წარმოების პროცესში.

ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ „მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა“¹, რადგან ვიდრე იგი ადამიანის ბედს გადაწყვეტს საჭიროა მისი გამოკვლევა

¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მე-13 მუხლის პირველი ნაწ.

და ყველანაირი ეჭვის გაქარწყლება. მისი გამოკვლევა გვჭირდება იმისათვის, რომ შევძლოთ არ მოხდეს უდანაშაულო პირისათვის სასჯელის დანიშვნა.

კვლევის მიზნები. განხილული თემის მიზანს წარმოადგენს: მტკიცებულებათა დასაშვებობასთან დაკავშირებული ნორმატიული მასალის, ქართველის და უცხოელი მკვლევარების სამეცნიერო ნაშრომების, როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის კვლევა და ანალიზი. იმისათვის, რომ გავაანალიზოთ, მტკიცებულებათა დასაშვებობასთან მიმართებაში ხომ არ ირღვევა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი, ნაშრომში განხილულია ცალკეული პრობლემები და წინააღმდეგობები.

კვლევის ამოცანები. დასახული მიზნების მიღწევისათვის შევეცადეთ გადაგვეწყვიტა შემდეგი ამოცანები:

- ✓ შეგვესწავლა და წარმოგვეჩინა მტკიცებულებათა წარმოშობის და განვითარების ისტორიული ასპექტები;
- ✓ ჩამოგვეყალიბებინა მტკიცებულებათა ცნება და გამოგვეკვეთა მათი სახეები სისხლის სამართლის პროცესში;
- ✓ წარმოგვეჩინა მტკიცების პროცესი სისხლის სამართალწარმოებაში;
- ✓ ჩამოგვეყალიბებინა მტკიცებულების დასაშვებობის ცნება და სახეები;
- ✓ წარმოგვეჩინა და გამოგვეკვეთა ცალკეული სახის მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემები.

კვლევის მეთოდები. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა ისტორიული კვლევის მეთოდი, ანალიზის და სინთეზის ლოგიკური მეთოდები, საკანონმდებლო ნორმების შედარებითი კვლევის მეთოდი, სასამართლო პრაქტიკის განზოგადება. ნაშრომზე მუშაობისას შესწავლილი და დამუშავებულ იქნა ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომები, საკანონმდებლო ბაზა, ასევე შესწავლილი და განზოგადებულ იქნა ქართული და საზღვარგარეთის ცალკეული ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა.

თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

სისხლის სამართალწარმოების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მტკიცებულებებს. გამომდინარე აქედან, მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში განხილვის საგნად არის ქცეული. ამ საკითხთან დაკავშირებით უამრავი მოსაზრებები არის განხილული სხვადასხვა ნაშრომებსა თუ იურიდიულ ლიტერატურაში. თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, საჭირო გახდა, რომ მოგვეძიებინა სხვადასხვა წყაროები, ინფორმაცია, რათა გაგვერკვია, თუ როგორ ხდება მტკიცებულებების გამოყენება სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში.

მტკიცებულების ცალკეული სახეების წარმოშობისა და მისი განვითარების შესწავლაში დაგვეხმარა გ. ნადარეიშვილის „სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“, მ. ცაცანაშვილის „სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია“. გამომდინარე იქიდან, რომ ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა უამრავი ცვლილება განიცადა, ნაშრომზე მუშაობის პერიოდში საჭირო გახდა, რომ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შეგვედარებინა ძველ, 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობაში კონსტიტუციას უმაღლესი ადგილი უჭირავს.

შესაბამისად, აუცილებელი გახდა მისი გამოყენება მტკიცებულებათა დასაშვებობის განხილვის პროცესში.

წარმოდგენილ ნაშრომში წამოჭრილი საკითხის თვალსაჩინოებისათვის პირველ რიგში, შესწავლილ იქნა ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით მტკიცებულების დასაშვებობის პროცესუალური საკითხები. როგორც უკვე ავლნიშნეთ, ადგილობრივი კანონმდებლობიდან გამოვიყენეთ: „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, ხოლო საერთაშორისო სამართლის აქტებიდან გამოყენებულ იქნა „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“, კონვენცია „წამებისა და სხვა სასტიკი არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ“, „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება“, საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“.

კვლევის პროცესში შესწავლილი და გამოყენებულ იქნა პროფესორ ბ. ხარაზიშვილის „მტკიცებითი სამართალი“. მისი საშუალებით ბრალდებულის ჩვენება შევადარეთ ძველ კანონმდებლობას, სადაც ბრალდებული „ეჭვმიტანილად“ არის მოხსენიებული და განვმარტეთ თითოეულის ცნება. ასევე გიორგი თუმანიშვილის „სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა“, ია ჩხეიძის „მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში“. მტკიცებულების ერთ-ერთი სახის, ნივთიერი მტკიცებულების ცნების განსახილველად დაგვეხმარა პროფესორ სერგო ჭელიძის საკანდიდატო დისერტაცია „ნივთიერ მტკიცებულებათა გამოყენების პრობლემა მკვლელობის საქმეთა გამოძების პროცესში“.

სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებულია როგორც ადგილობრივი ისე, საერთაშორისო სისხლის სამართლის კონკრეტული ქეისები, რათა უკეთ წარმოგვეჩინა თუ როგორ ხდება პრაქტიკაში კონკრეტული შემთხვევების დროს მტკიცებულებათა დასაშვებობა. ეს ქეისებია თბილისის სააპელაციო სასამართლოს

განაჩენი საქმეზე N1/ბ-555-12,07/11/2012, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე N1/1/548 და სხვ.

თავი II. პრობლემის კვლევა/ანალიზი

2.1. მტკიცებულებათა წარმოშობის და განვითარების ისტორიული ასპექტები

სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებებს ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან იგი ყოველთვის იყო, არის და იქნება გამოსაძიებელ სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის უმთავრესი საშუალება.

აღსანიშნავია, რომ სამართლის ისტორიული ძეგლების მიხედვით, ჯერ კიდევ ძველი ეპოქის ქვეყნებში გვხვდება მტკიცებულებათა ისეთი სახეები, როგორცაა ნივთიერი მტკიცებულება, დოკუმენტი და მოწმის ჩვენება.

ძველ ეგვიპტეში, უნივერსალურ მტკიცებულებად ითვლებოდა პირის მიერ დადებული ფიცი, რადგან, ეგვიპტური წყაროების მიხედვით: „ფიცი იყო

დამამტკიცებელ საბუთთა მეფე“.² გარდა ამისა, ეგვიპტეში წამების გზით მოპოვებული მტკიცებულებები გამოირჩეოდა სანდოობის მაღალი ხარისხით და არ საჭიროებდა დასაბუთებას სხვა მტკიცებულებით.

მართალია, დროთა განმავლობაში ფიცმა, როგორც მტკიცებულების ერთ-ერთმა სახემ ძალა დაკარგა, მიუხედავად ამისა, ჰეროდოტეს გადმოცემით, პირს ქურდობის ბრალისგან თავის გათავისუფლება შეეძლო ისევ ფიცით, თუ, რა თქმა უნდა, მის წინააღმდეგ სხვა, ისეთი სახის მტკიცებულებები არ არსებობდა, რომელიც შეასუსტებდა ფიცის ძალას.³

რაც შეეხება ნივთიერ მტკიცებულებებს, ეგვიპტეში მას იყენებდნენ ისეთი დანაშაულის გამოძიებისას, როგორც იყო საფლავის შეურაცხყოფა, რომლის დროსაც ხდებოდა დანაშაულის ადგილის დათვალიერება და მტკიცებულებათა შეგროვება კვალის და ნივთების სახით.⁴

ცნობილია ასევე „მანუს კანონები“, რომელიც ძვ.წთ-ალ-ის მე-2 საუკუნით თარიღდება, წარმოადგენს ინდოეთის სამართლის წიგნს, რომელშიც ნათქვამია, რომ: „სამართლიანმა მეფემ არ უნდა დასაჯოს ქურდი, თუ მას ვერ უპოვნა ნაქურდალი, ხოლო ნაქურდალი ნივთის პოვნის შემდეგ ის უყოყმანოდ უნდა დაისაჯოს“⁵ ანუ აქ საუბარია ნივთიერ მტკიცებულებაზე, რომლის არსებობის შემთხვევაშიც პირს ეკისრებოდა სასჯელი.

ნივთიერი მტკიცებულებების გამოყენების ფაქტი ჩინეთის ტერიტორიაზე X-XIII ს.ს. გვხვდება. ნათქვამია, რომ თუ პიროვნება ხელისუფლების წარმომადგენელთან მივიდოდა ნივთიერი სამხილით და მოინანიებდა ჩადენილ დანაშაულს, მას ათავისუფლებდნენ სასჯელისაგან.⁶

აღსანიშნავია ისიც, რომ ნივთიერი მტკიცებულებები ქართულ სამართალშიც გვხვდება, კერძოდ, გიორგი III-ის 1170 წლის სიგელში. ასევე, ნივთიერ

² ნადარეშივილი გ., სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2008, გვ. 21;

³ იბ., იქვე, გვ. 22-23.

⁴ ცაცანაშვილი მ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, ტ. I, გვ. 20, თბ., 1995.

⁵ ჭელიძე ს., საკანდიდატო დისერტაცია „ნივთიერ მტკიცებულებათა გამოყენების პრობლემა მკვლევლობის საქმეთა გამოძიების პროცესში, თბ., 2005, გვ. 123;

⁶ ნადარეშივილი გ., ნარკვევები სამართლის ისტორიიდან, გამომც. „საბჭოთა სამართალი“, თბ., 1986, გვ. 164;

მტკიცებულებებზე ლაპარაკია გიორგი მეხუთე „ბრწყინვალის“ „ძეგლის დადებაში“ (1334-1335 წ.წ.). გარდა ამისა, ვახტანგ VI-ის „სამართლის წიგნი“ ნათქვამია, რომ: „საქართველოს რიგი და სამართალი ექვსი არის, რომე ამით თავი იმართლებს: პირველი - ფიცი, მეორე - შანთი, მესამე - მდულარე, მეოთხე - ხმალი, მეხუთე - მონამე, მეექვსე - ცოდვის მოკიდება. ამით თითოსა და თითოს სხვადასხვა ზღვარი აქვს, თუ რომელ რომელს საქმებედ უნდა დაედვას. და ქნით როგორ უნდა ქნას, თვითოეულად აცვამცნებს“.⁷

გამომდინარე აქედან, ვხედავთ რომ ვახტანგ VI-ის „სამართლის წიგნი“ აღიარებდა წერილობით მტკიცებულებებს და ორდალებს - შანთს, მდულარეს და ხმალს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ქართულ სამართალში რელიგიური მნიშვნელობა ჰქონდა დანაშაულს და ითვლებოდა, რომ ბრალი იგივე ცოდვაა და ყველა სასჯელი უფლის სახელით სრულდებოდა.

დღეს საზღვარგარეთის ქვეყნებში სისხლის სამართლის პროცესი, საქართველოს კანონმდებლობის მსგავსად, აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე. გარდა ამისა, მათი კანონმდებლობა ითვალისწინებს მტკიცებულებათა მოპოვების და შეფასების ანალოგიურ წესებს.

ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური წესები ყველაზე ახლოს დგას საქართველოს სისხლის სამართლის პროცესთან, უფრო ზუსტად კი მტკიცებულებათა მოპოვებისა და დასაშვებობის სფეროში. ამერიკის სისხლის სამართლის წყაროებია პრეცედენტული ნორმები და 1787 წლის კონსტიტუცია. მართალია, ამერიკის სამართალს არ გააჩნია სისხლის სამართლის ერთიანი კოდექსი, თუმცა ფედერალური წესები არეგულირებენ საკითხებს მტკიცებულებებთან დაკავშირებით.⁸

ამერიკის სისხლის სამართალსა და საქართველოს სისხლის სამართალს შორის ასევე ის მსგავსებაა, რომ მაგალითად, მონმის ჩვენება ისევე გამოიყენება სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებად, როგორც ქართულ კანონმდებლობაში.

⁷ ბიჭია მ., ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, გამომც. „იურისტების სამყარო“, თბ., 2013, გვ. 193.

⁸ ჩომახაშვილი ქ., თომაშვილი თ., ძეგნიაური გ., ოსეფაშვილი ს., პატარიძე მ., მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2016, გვ. 42;

ასევე, ექსპერტის დასკვნა ამერიკის კანონმდებლობითაც შესაძლებელია მტკიცებულებად იქნეს დაშვებული სისხლის სამართლის საქმეზე. ექსპერტის დასკვნასთან დაკავშირებით ფედერალური კანონმდებლობა აღგენს, რომ აუცილებელია ექსპერტმა მისი დასკვნის მიზეზები და საფუძვლები ახსნას და განმარტოს.⁹ გარდა ამისა, აშშ-ს კანონმდებლობა, მსგავსად საქართველოსი, აღიარებს წერილობით, იგივე დოკუმენტურ მტკიცებულებას და განმარტავს, რომ წერილობითი მტკიცებულებას წარმოადგენს დოკუმენტი, რომელიც შედგება ასოთი, სიტყვით, იგი შეიძლება შედგენილი იყოს ასევე ვიდეოფორმით, ფოტოგადაღებით ან სხვა საშუალებებით.¹⁰ ყველაზე მნიშვნელოვან მსგავსებას კი წარმოადგენს „მონამლული ხის ნაყოფის თეორია“, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში 20-ე საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა და დღეს საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში უკავია მნიშვნელოვანი ადგილი.

ამერიკის შეერთებული შტატების გარდა, თვალსაჩინოა საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის მსგავსება ინგლისის სისხლის სამართლის პროცესთან. ინგლისის სასამართლოს განცხადებით: „სისხლის სამართლის საქმეში შეჭიბრებითი პროცესის უფლება გულისხმობს, რომ როგორც ბრალდებას, ისე დაცვას უნდა მიეცეს მეორე მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და მათზე საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა.“¹¹

ამ აზრს იზიარებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიც და განმარტავს, რომ „სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაცვის მხარის მოთხოვნა ბრალდების მხარის იმ ინფორმაციაზე გაცნობის თაობაზე, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც ბრალდების მხარე აპირებს, დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს.“¹² გარდა ამისა, იგივე უფლებას

⁹ სახელმძღვანელო იურისტებისთვის სასამართლო ექსპერტიზის, ექსპერტი მონმის დაკითხვისა და მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ, ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივის (ABA ROLI) რედაქტორობით, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2002, გვ. 260;

¹⁰ ჩომახავილი ქ., თომაშვილი თ., ძეგნიური გ., ოსეფაშვილი ს., პატარიძე მ., მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2016, გვ. 46;

¹¹ იხ., იქვე, გვ. 55;

¹² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, 83-ე მუხ., პირველი ნაწ., <https://matsne.gov.ge>. (უკანასკნელად გადამოწმებულია 26/05/2019)

ანიჭებს ბრალდების მხარესაც, რაშიც გამოიხატება შეჯიბრებითობის პრინციპი - „დაცვის მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ, ბრალდების მხარე უფლებამოსილია დაცვის მხარისგან მიიღოს ის ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენსაც დაცვის მხარე აპირებს.“¹³

არ შეიძლება არ ავლნიშნოთ ასევე დღესდღეისობით არსებული მსგავსება საქართველოსა და იტალიის სისხლის სამართლის პროცესს შორის. საქართველოს კანონმდებლობის მსგავსად, იტალიის სისხლის სამართლის კოდექსმა განიცადა უამრავი ცვლილება. იგი 1989 წლის 24 ოქტომბერს ამოქმედდა. იტალიის კანონმდებლობაშიც სახეზე გვაქვს შეჯიბრებითობის პრინციპი, სადაც მხარეები ერთმანეთს უპირისპირდებიან საკუთარი ინტერესების დასაცავად ანუ „იტალური პროცესი ამჟამად არის პროცესი მხარეებს შორის, სადაც იქმნება გარანტია ბრალდებასა და დაცვას შორის თანასწორობის მისაღწევად“.¹⁴

იტალიის საპროცესო კოდექსის თანახმად, მოწმე შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, ვისაც შესწევს უნარი ჩვენების მიცემისათვის და იგი არ არის ვალდებული მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ.¹⁵ სსკ-ს მე-15 მუხლის თანახმად: „არავინ არ არის ვალდებული, ჩვენება მისცეს საკუთარი თავის ან სხვა პირთა წინააღმდეგ“.¹⁶

ზემოთ განხილული საკითხებიდან გამომდინარე, თვალსაჩინოა, რომ საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში მტკიცებულებებმა განვითარების რთული და დიდი გზა განვლო, უფრო დაიხვეწა და დემოკრატიული სახე მიიღო, რაშიც იგულისხმება მისი გამოყენების თანაბარი შესაძლებლობები.

¹³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, 83-ე მუხ., მეორე ნაწილი., <https://matsne.gov.ge> (უკანასკნელად გადამოწმებულია 26/05/2019)

¹⁴ ჩომახავილი ქ., თომაშვილი თ., ძეგნიური გ., ოსეფაშვილი ს., პატარიძე მ., მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2016, გვ. 61;

¹⁵ იბ., იქვე, გვ. 62;

¹⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, 15-ე მუხ. <https://matsne.gov.ge> (უკანასკნელად გადამოწმებულია 26/05/2019)

2.2. მტკიცებულებათა სახეები

საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის თანახმად, მტკიცებულების მეშვეობით სისხლის სამართლის საქმის წარმოების მიმდინარეობის დროს მხარეები

მის საფუძველზე უარყოფენ ან ამტკიცებენ საკუთარ პოზიციებს. ეს მტკიცებულებები კი შესაძლოა სხვადასხვა სახის იყოს, რომელსაც თავად ეს კოდექსი განსაზღვრავს. თვალსაჩინოებისათვის კი აუცილებელია, რომ განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ბრალდებულის ჩვენება - თავდაპირველად, ბრალდებულს სისხლის სამართლის პროცესი მოიხსენიებდა ეჭვმიტანილად. პირს ჯერ ეჭვმიტანილის სტატუსი ენიჭებოდა, რადგან მის მიმართ არსებობდა ჯერ ეჭვი, შემდეგ მას ცნობდნენ ბრალდებულად და როდესაც საქმე სასამართლოს გადაეცემოდა არსებითი განხილვისთვის, იგი ხდებოდა უკვე განსასჯელი: „ბრალდებულად ითვლება პირი იმ მომენტიდან, როდესაც იგი პასუხისგებაშია მიცემული.“¹⁷

რაც შეეხება მოქმედ კანონმდებლობას, ბრალდებულის სტატუსი მოიცავს ეჭვმიტანილის და განსასჯელის ფორმალურ ნიშნებს. ბრალდებული არის „პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული“.¹⁸ ასევე, პირი ბრალდებულის სტატუსს იძენს და შესაბამისი უფლებებით სარგებლობს მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც მის მიმართ დაიწყება სისხლისამართლებრივი დევნა. იგი ამ სტატუსს ინარჩუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე. რაც შეეხება ბრალდებულის ჩვენებას, იგი არის სასამართლოში მიცემული ისეთი სახის ინფორმაცია, რომელიც უშუალოდ ეხება კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეს.

გამომდინარე იქიდან, რომ მოქმედი სისხლის სამართლის პროცესი ეყრდნობა შეჯიბრებითობის პრინციპს და მტკიცების ტვირთი აკისრია ბრალდების მხარეს, ბრალდებულს უფლება აქვს, თავად გადაწყვიტოს, მისცემს თუ არა იგი საგამოძიებო ორგანოებს ჩვენებას. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულის ჩვენებით შეიძლება ისეთი გარემოებების დადგენა, რომლის შესახებაც ინფორმაცია მხოლოდ მან იყოს, ამით შეიძლება ისარგებლოს ბრალდებულმა და ხელი შეუწყოს არასწორი ინფორმაციით საკუთარი თავის გამართლებას „დანაშაულის ცრუ აღიარება (სრული,

¹⁷ ხარაზიშვილი ბ., მტკიცებითი სამართალი (ნარკვევები), თბ., 1982, გვ. 253;

¹⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხ. 3, ნაწ. 19.

<https://matsne.gov.ge> (უკანასკნელად გადამოწმებულია 26/05/2019)

ნაწილობრივი) შეიძლება იყოს დაკავშირებული სასჯელის შიშთან, პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მოთხოვნილებასთან, დამნაშავის დაფარვის სურვილთან, ინტიმური მხარეების დაფარვის მოთხოვნილებასთან და სხვა.¹⁹

სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილია, რომ ბრალდებულმა პასუხი არ აგოს ცრუ ჩვენების მიცემისათვის. სსკ-ს 370-ე მუხლით, სასამართლოში ცრუ ჩვენების მიცემისთვის შეიძლება პასუხი აგოს მხოლოდ მონმემ და დაზარალებულმა. მიუხედავად იმისა, რომ ძველი კანონმდებლობით ეჭვმიტანილი და ბრალდებული სხვადასხვა სტატუსს წარმოადგენდა, მათ ჰქონდათ საერთო ის, რომ ეჭვმიტანილსაც, ბრალდებულის მსგავსად არ ეკისრებოდა პასუხისმგებლობა ცრუ ჩვენებისთვის: „ეჭვმიტანილის ჩვენება იმით ემსგავსება ბრალდებულის ჩვენებას, რომ ეჭვმიტანილიც თავს იცავს იმ ბრალდებისგან, რომლის ჩადენაში ეჭვმიტანილია იგი“.²⁰

ვინაიდან, საქართველოს სსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილი განმარტავს, რომ არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებელია და არა აქვს იურიდიული ძალა, მაშინ წამებით და არაადამიანური მოპყრობით მოპოვებული მტკიცებულებაც დაუშვებელ უნდა იქნეს მიჩნეული. პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როდესაც ბრალდებულზე ზეწოლის შედეგად გამომძიებლები იღებდნენ ჩვენებას. მაკა ხონდიდელის სტატიაში „წამების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში (ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით)“ დასკვნის სახით განსახილველ ნორმასთან დაკავშირებით უთითებს, რომ 72-ე მუხლის პირველ ნაწილზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ წამებით მოპოვებული ჩვენება არის დაუშვებელი მტკიცებულება. სტატიაში ასევე განხილულია მაგნუს გეფგენის საქმე, რომელიც მსოფლიოში კრიტიკის საგნად იქცა. უფრო კონკრეტულად კი, 2002 წელს გერმანიაში, მაგნუს გეფგენმა 27 სექტემბერს გაიტაცა 11 წლის იაკობ ფონ მეტცლერი, რომელიც ბანკირის შვილი იყო. გეფგენმა იგი მოკლა და გვამი ტბასთან დამარხა. მაშინდელმა პოლიციის ვიცე-პრეზიდენტმა, ვოლფგანგ დაშერმა, გასცა

¹⁹ ხარაზიშვილი ბ., მტკიცებითი სამართალი (ნარკვევები), თბ., 1982, გვ. 255;

²⁰ იქვე, გვ. 252.

განკარგულება გეფეგენის მიმართ ძალის გამოყენებაზე. წამების შიშით გამტაცებელმა დაასახელა ბავშვის ადგილსამყოფელი.

ფრანკფურტის სასამართლომ მაგნუს გეფეგენს მიუსაჯა უვადო თავისუფლების აღკვეთა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობისთვის. თუმცა, მოგვიანებით სასამართლომ პოლიციის მუშაკებიც სცნო დამნაშავედ, მაგრამ მათ მხოლოდ პირობითი მსჯავრი შეეფარდათ.²¹

ამ საქმიდან გამომდინარე, საზოგადოებაში გაჩნდა აზრი იმის შესახებ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დასაშვები უნდა იყოს წამება და წამების მუქარა. თუმცა, აქ უკვე ვაწყდებით ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას, რომლის თანახმადაც: „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას“.²²

სისხლის სამართლის პროცესი ერთმანეთისგან განასხვავებს დაკითხვას და გამოკითხვას, ვინაიდან აქამდე სისხლის სამართლის კოდექსი იცნობდა მხოლოდ დაკითხვას. გამოკითხვა ნებაყოფლობითი ხასიათისაა. შესაბამისად, მხარემ გამოსაკითხ პირს შეუძლია სთხოვოს ინფორმაციის მიცემა. გამოკითხვის დროს პირი არ დებს ფიცს. განსხვავებით გამოკითხვის ინსტიტუტისა, დაკითხვა არ არის ნებაყოფლობითი და შესაბამისად, პირს ეკისრება გამოცხადების ვალდებულება. კანონმდებელმა კოდექსში გამოკითხვის დამატებით კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა შეჭიბრობითობის პრინციპს და ამასთანავე ბრალდების მხარეს შეუმცირა უფლებები. პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც ბრალდებულს დაკავების დროს მიცემული ჩვენებისგან სრულიად განსხვავებული ჩვენება მიუცია სასამართლოსათვის.

თუმცა, თუ ბრალდებული მოწმის სახით აძლევს ჩვენებას, სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის საფუძველზე მას შეიძლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისროს ცრუ ჩვენებისთვის. სწორედ ამიტომ, სსსკ-ის 74-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით: „ბრალდებულის აღიარება არ შეიძლება

²¹ თსუ იურიდიული ფაკულტეტი, სამართლის ჟურნალი, N2, 2014, გვ. 254-256;

²² ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 1950, მუხლი 3.

საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს, თუ იგი არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით“.²³

მონმის ჩვენება - სისხლის სამართლის კანონმდებლობით, მონმე შეიძლება იყოს პირი, რომელიც შესაძლოა ფლობდეს ისეთი სახის ინფორმაციას, რაც დაეხმარება სისხლის სამართალწარმოებას ჭეშმარიტების დადგენაში. თუმცა, სისხლის სამართლის პროცესში პირი მონმედ რომ მოგვევლინოს და მის მიერ მიცემული ჩვენება საქმეს მტკიცებულებად დაერთოს, საჭიროა მთელი რიგი პროცესუალური საკითხების გავლა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის 20-ე ნაწილის თანახმად, პირი მონმის სტატუსს იძენს მხოლოდ და მხოლოდ ფიცის დადებისა და სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის გაფრთხილების შემდეგ. მან შეიძლება დადოს როგორც რელიგიური, ისე არარელიგიური ფიცი. „ფიცის დადების ვალდებულებას საფუძვლად უდევს მოსაზრება, რომ ფიცი გარკვეულწილად ბოჭავს მონმეს სიცრუისგან და იგი კეთილსინდისიერად მისცემს სასამართლოში ჩვენებას.“²⁴

პროცესში მონაწილე მხარეებისთვის მნიშვნელოვანია მონმის პიროვნული მხარე ანუ პირს რამდენად აქვს განვითარებული გადმოცემის უნარი და რამდენად რეალურად აღიქვამს ფაქტებს, რადგან „დაუშვებელია მონმის სანდოობის შესახებ ექსპერტიზის ჩატარება.“²⁵ ამიტომ, მონმის ჩვენება რომ მტკიცებულებად იქნეს გამოყენებული, პირველ რიგში საჭიროა, შეფასდეს მისი ფსიქიკური ან ფიზიკური ნაკლი, რითაც დგინდება ის, თუ რამდენად შეეძლო პირს აღეჭვა მომხდარი ფაქტი.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ღღეს თუ სისხლის სამართლის პროცესი გვაძლევს სრულ ჩამონათვალს იმ პირებისა, რომლებიც არ არიან ვალდებულნი, მისცენ ჩვენება, ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მხოლოდ ორ შემთხვევას ითვალისწინებდა, რომლის თანახმადაც არ შეიძლება დაკითხულიყო „დამცველი იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა ამ

²³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, 74-ე მუხლის მეოთხე ნაწილი; <https://matsne.gov.ge> (უკანასკნელად გადამოწმებულია 26/05/2019)

²⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2015, გვ 258.

²⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, 51-ე მუხლის მესამე ნაწილი; <https://matsne.gov.ge> (უკანასკნელად გადამოწმებულია 10/05/2019)

საქმეში დამცველის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით და პირი, რომელსაც ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას მოვლენები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საქმისთვის.²⁶

მოქმედი კანონმდებლობის თანხამად, გარკვეული სახის პირები არ არიან ვალდებულნი იყვნენ მოწმეები და არ ეკისრებათ დაკითხვის ვალდებულება. ასევე უფლება აქვთ, არ გასცენ საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია. ესენი არიან:

1) ადვოკატი, რომელმაც საქმეზე არსებული ინფორმაცია მიიღო პირისგან, როდესაც იგი იმყოფებოდა მისი დაცვის ქვეშ და ასევე, როდესაც კონსულტაცია გაუნია პირს, სანამ მას დაცვის მიღება დასჭირდებოდა. „სამართლიანად არის დაგმობილი დ. ს. კრევის რედაქციით გამოცემული სისხლის სამართლის პროცესის სახელმძღვანელოს პოზიცია, რომლის მიხედვითაც, დამცველი ვალდებულია აცნობოს საგამოძიებო ორგანოებს თუნდაც ბრალდებულთან საუბრის დროს გაგებული ცნობები ყველა იმ დანაშაულთა შესახებ, რომელთა განუცხადებლობა ისჯება კანონით“²⁷. რა თქმა უნდა, ეს მიუღებელია, ვინაიდან სახეზე აღარ გვექნება დაცვის ფუნქცია და შეჭიბრებითობის პრინციპი. ადვოკატის მოვალეობა არის ის, რომ დაიცვას მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირი და მისთვის მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს იმას, სინამდვილეში ჩიდინა ბრალდებულმა დანაშაული თუ არა. „ი. პეტრუხინის აზრით, დამცველი არ არის სამართლის „თანაშემწე“. მისი ამოცანა არ არის სასამართლოსთვის ხელშეწყობა, არამედ იმ პირების უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვა, რომლებმაც მას მიმართეს იურიდიული დახმარებისთვის“²⁸;

2) არც სასულიერო პირია ვალდებული იყოს მოწმე და გასცეს ისეთი სახის ინფორმაცია, რომელიც აღსარების შედეგად მიიღო პირისაგან;

3) პროფესიული საქმიანობის დროს მოპოვებული ინფორმაციის გაცემის ვალდებულება არ ეკისრება ჟურნალისტს;

4) პირს, რომელიც ბრალდებულის ახლო ნათესავია;

²⁶ ხარაზიშვილი ბ., მტკიცებითი სამართალი (ნარკვევები), თბ., 1982გვ. 229;

²⁷ იქვე, გვ. 230.

²⁸ აქუბარდია ი., დაცვის ხელოვნება, თბ., 2011, გვ. 84;

5) სახალხო დამცველი, რომელსაც გაანდეს ფაქტები, როგორც სახალხო დამცველს;

6) მოსამართლე იმ გარემოების შესახებ, რაც სასამართლოს თათბირის საიდუმლოებაა;

7) პირი, რომელიც ტრეფიკინგის მსხვერპლია;

8) საქართველოს სახალხო დამცველთან შექმნილი სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი;

9) პირი, რომელიც ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო ვერ აღიქვამს საქმის გარემოებას და არ შეუძლია ზუსტად გადმოსცეს ინფორმაცია;

10) პირი, რომელიც უმაღლესი საბჭოს წევრია ავტონომიურ რესპუბლიკაში და კონკრეტული ინფორმაცია მიიღო, როგორც საბჭოს წევრმა;

11) პარლამეტის წევრი, რომელმაც ინფორმაცია მიიღო, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს წევრმა.²⁹

შტეტან ტრეფსელი თავის ნაშრომში „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“ გამოყოფს მონმის დაკითხვის ოთხ რთულ ვითარებას. ესენია: 1) როდესაც მონმე არ ცხადდება სასამართლო განხილვაზე; 2) არსებობს ინტერესი, რომ მონმის ვინაობა იყოს გასაიდუმლოებული (მაგალითად, ფარული აგენტები); 3) შეიძლება მონმე არ გამოცხადდეს იმიტომ, რომ იგი დაშინებულა ბრალდებულის მიერ ან ეშინია მისი შურისძიების; 4) როდესაც პირი არის სექსუალური დანაშაულის მსხვერპლი და ჩვენების მიცემამ შეიძლება მას ფსიქოლოგიური ტრამვა მიაყენოს³⁰. როდესაც ვეხებით მონმის სასამართლოზე გამოცხადებლობას და გასაიდუმლოების საკითხს, ჩნდება პრობლემა, რომ დაცვის მხარეს ერთმევა შესაძლებლობა, პირადად დაუპირისპირდეს მონმეს და მისგან მიიღოს სასურველი ინფორმაცია. ამ შემთხვევაში ირღვევა შეჯიბრობითობის პრინციპი. ამიტომ, მიზანშეწონილია, თუ ასეთი სახის ჩვენებებს, რომელსაც გასაიდუმლოებული მონმე იძლევა, არ უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი ძალა პირის მსჯავრდებისათვის. ნაშრომში

²⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხ. 50;

<https://matsne.gov.ge> (უკანასკნელად გადამოწმებულია 29/04/2019)

³⁰ ტრეფსელი შ., „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“, თბ., 2009, გვ. 330;

ასევე მოყვანილი არის არტნერის (Artner) საქმე, მაგალითი იმისა, თუ როგორ არ შეწყვიტა სასამართლომ სისხლისსამართლებრივი დევნა, როდესაც ვერ იპოვეს ერთადერთი მონმე ³¹. მსგავსი გადანწყვეტილება, რა თქმა უნდა, ყოველად მიუღებელია, რადგან ასეთი შემთხვევის დროს პირს ერთმევა უფლება, რომ დაუპირისპირდეს ბრალდების მხარეს. სწორედ ამიტომ, საკითხი უნდა გადანყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ, რათა თავიდან ავიცილოთ უდანაშაულო პირის დასჯა.

მონმის სტატუსით შეიძლება ისარგებლონ პროკურორმა, გამომძიებელმა და მისცენ ჩვენება მათ მიერ ჩატარებული საგამომძიებო მოქმედებების შესახებ, ასევე ბრალდებულმა, ექსპერტმა, დაზარალებულმა და მასთან ერთად - თარჯიმანმა. 1998 წლის საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით, დაზარალებული წარმოადგენდა მხარეს, იგი იცავდა ბრალდების პოზიციას და იყო პროცესის დამოუკიდებელი მონაწილე. 2010 წლის 1 ოქტომბრამდე, გარკვეული დანაშაულების შემთხვევაში იგი იყო ასევე კერძო ბრალმდებელი.

მას შეეძლო წარედგინა მტკიცებულებები, შეუზღუდავად გასცნობოდა საქმის მასალებს, ასევე მოეთხოვა მოსამართლის, ბრალდების მხარის, ექსპერტის, თარჯიმნის აცილება. მიუხედავად ამისა, კანონმდებლობა არ ათანაბრებდა მონმესთან მას. „საქმე ის არის, რომ დაზარალებული, როგორც წესი, ბუნებრივად დაინტერესებულია საქმის ბედით, იგი ზოგჯერ აზვიადებს მომხდარ მოვლენას ნებისით თუ უნებლიეთ.“³² სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილად თვლიდნენ, რომ მას არ უნდა დაკისრებოდა პასუხისმგებლობა არასწორად მიცემული ჩვენებისათვის. მოქმედი კანონმდებლობით, დაზარალებული აღარ არის პროცესში მხარე და აღარ გააჩნია ზემო აღნიშნული უფლებები. დაზარალებული შეიძლება მართლა ფლობდეს დანაშაულის შესახებ უფრო მეტ ინფორმაციას გამომდინარე იქიდან, რომ იგი თავად იყოს დანაშაულის ჩადენის შემსწრე, თუმცა მიუხედავად ამისა, „განაჩენის გამოსატანად ერთი ან თუნდაც რამდენიმე მონმე - დაზარალებულის

³¹ იხ. იქვე, გვ. 332.

³² ხარაზიშვილი ბ., მტკიცებითი სამართალი (ნარკვევები), თბ., 1982, გვ. 250;

ჩვენება არ არის საკმარისი ბრალდებულის ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებების, მათ შორის ნივთიერი მტკიცებულებების, სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედების ოქმების გარეშე³³.

მონმის სახით შეიძლება ასევე დაიკითხოს ექსპერტი. ექსპერტის ჩვენება სრულიად განსხვავდება ჩვეულებრივი მონმის ჩვენებისგან, რადგან მონმის ჩვენება მოიცავს ისეთი სახის ინფორმაციას, რაც მოხდა უშუალოდ მის გარემოში და ეს ინფორმაცია ამით გახდა ცნობილი მისთვის, ხოლო ექსპერტი არის „სპეციალური ცოდნის, ჩვევებისა და გამოცდილების მქონე ფიზიკური პირი.“³⁴ შესაბამისად, იგი იძლევა ისეთი სახის ჩვენებას, სადაც აკეთებს დასკვნებს, რაც საკუთარი ცოდნით და გამოცდილებით მიიღო მტკიცებულებათა შესწავლისას. ექსპერტი სანამ უშუალოდ ობიექტის გამოკვლევას დაიწყებს, მხარეები მას აძლევენ კითხვებს, რომელსაც ექსპერტიზის ჩატარების შედეგად უნდა გასცეს პასუხი, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ექსპერტმა გამოკვლევის შედეგად დაადგინა ისეთი გარემოებები, რის შესახებაც მხარეებს არ დაუსვამთ კითხვები. ამ შემთხვევაში ექსპერტი ვალდებულია ასეთი სახის გარემოებაც ასახოს დასკვნაში.

ნივთიერი მტკიცებულება - ნივთიერი მტკიცებულება, მონმის ჩვენებისაგან განსხვავებით, მატერიალური სახის ობიექტია. ეს ისეთი სახის მტკიცებულება, რომელიც თავისი ნიშან-თვისებით, მასზე დარჩენილი კვალით, ასევე მისი აღმოჩენის ადგილითა და დროით დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივ გარემოებასთან.³⁵ იგი შეიძლება იყოს როგორც საგანი, ისე დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა სახის ობიექტი.

ნივთიერი მტკიცებულების დასაშვებობისთვის საჭიროა, რომ საბუთდებოდეს მისი ავთენტურობა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 77-ე მუხლის მე-4 ნაწილით და 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე, მხარეს უნდა შეეძლოს,

³³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2015, გვ. 260.

³⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მე-3 მუხლის 21-ე ნაწ.

<https://matsne.gov.ge> (უკანასკნელად გადამოწმებულია 29/05/2019)

³⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მე-3 მუხლის 25-ე ნაწ.;

<https://matsne.gov.ge> (უკანასკნელად გადამოწმებულია 29/05/2019)

რომ დაკითხოს ის პიროვნება, ვის მიერაც იქნა მოპოვებული ან ვისთანაც ინახებოდა იგი მის გამოკვლევამდე. ასევე, იმისათვის, რომ მტკიცებულება სისხლის სამართლის საქმეზე იქნეს დაშვებული საჭიროა მისი საპროცესო დამაგრება სწორად მოხდეს.³⁶ საპროცესო დამაგრებაში იგულისხმება ის პროცედურა, რომლის დროსაც აღმოჩენილი ნივთიერი მტკიცებულების აღმოჩენა და ამოღება ხდება.

როდესაც საგნის აღმოჩენა ხდება, უფლებამოსილი პირი მას პირველ რიგში საგამოძიებო მოქმედების მონაწილეებს წარუდგენს, ხოლო შემდეგ „ნივთიერი მტკიცებულება უნდა დათვალიერდეს და დაილუქოს; დათვალიერებისას უნდა გამოვლინდეს და აღინეროს ობიექტის ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნები.“³⁷

აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ ეს პროცედურები კანონის შესაბამისად არ იქნება დაცული, ასეთი სახის მტკიცებულებები ვერ იქნება გამოყენებული სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. ინდივიდუალურ და გვარეობით ნიშნებში იგულისხმება ობიექტის მახასიათებლები, ინდივიდუალურის შემთვევაში კი საქმე გვაქვს ისეთ ნიშან-თვისებებზე, რომელიც მხოლოდ მოცემული მტკიცებულებას გააჩნია, მაგალითად დანაზე ამოტვიფრული ინიციალები. რაც შეეხება გვარეობით ნიშნებს, იგი დამახასიათებელია მოცემული ობიექტის სახეობისთვის, მაგალითად „მაკაროვის“ სისტემის იარაღი. ³⁸დათვალიერების ოქმში, ნივთიერი მტკიცებულების აღწერასთან ერთად, უნდა მოხდეს მისთვის ფოტოსურათის გადაღება. ისეთი საგნები, რომელიც გამოირჩევა სიდიდით ან სხვა ფაქტორების გამო ვერ შეინახება საქმესთან ერთად, უნდა დაილუქოს, გადაელოს ფოტოსურათი და პასუხისმგებელი პირის მიერ მითითებულ ადგილას ინახებოდეს³⁹. მტკიცებულების დალუქვის შემდეგ შესაძლებელია მისი ხელახლა დათვალიერება, რომლის შესახებაც უნდა აღინეროს დათვალიერების ოქმში.

³⁶ ჩხეიძე ი., მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010, გვ. 93;

³⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, 77-ე მუხლის მეორე ნაწილი. <https://matsne.gov.ge> (უკანასკნელად გადამოწმებულია 29/05/2019);

³⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2015, გვ. 271;

³⁹ ხარაზიშვილი ბ., მტკიცებითი სამართალი (ნარკვევები), თბ., 1982 გვ. 272;

ნივთიერი მტკიცებულებისაგან განსხვავებით, კვლევის ნიმუში შენაცვლებადი ხასიათისაა. „შედარებითი კვლევის ნიმუში შენაცვლებადი ნივთიერი მტკიცებულებაა“⁴⁰, რადგან მისი შეცვლა და მოპოვება შეიძლება ყოველთვის, მაგალითად, ბიოლოგიური ნიმუშები.

ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ „მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ობიექტი დაკარგულია, ოქმები და ჩვენებები იმ ფარგლებში, რომლებშიც უზრუნველყოფენ მისი ნიშნების დამაჯერებლად გადმოცემას, ცვლიან ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთს.“⁴¹

მართალია, იმისათვის, რომ ნივთიერი მტკიცებულება სასამართლოს მიერ დაშვებული იქნეს, საჭიროა, რომ დასტურდებოდეს მისი ავთენტურობა. ასევე, შეიძლება დაიკითხოს ის პირი, ვის მიერაც იქნა ამოღებული იგი დანაშულის ადგილიდან, მაგრამ ჩვენებები და ოქმები ვერასოდეს შეცვლიან ნივთიერ მტკიცებულებას. გამომდინარე იქიდან, რომ მისი გამოკვლევის შედეგათ ვიღებთ ისეთ ინფორმაციას, რასაც სხვა ინფორმაციის წყარო ვერ შეცვლის.

„ნივთიერი მტკიცებულება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს a priori მტკიცების უფრო მნიშვნელოვან საშუალებად, ვიდრე ჩვენებები“⁴², რადგან მოწმის ჩვენებები უფრო ზუსტ და მკაფიო გარემოებებს გვაძლევს, ასევე საფრთხე არ არსებობს იმისა, რომ იგი ნივთიერი მტკიცებულების მსგავსად შეიძლება შეცვლილიყო. თუმცა, თუ არსებობს გონივრული ეჭვი ნივთიერი მტკიცებულების გამოცვლის ან მისი ნიშან-თვისებების შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის გაქრობის, ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ასეთი მტკიცებულება დაუშვებელია.

დოკუმენტი - ნივთიერი მტკიცებულებისაგან განსხვავებით, დოკუმენტური მტკიცებულება გამოირჩევა არა ნიშან-თვისებებით, არამედ თავად მისი შინაარსით. ხშირად, დავის საგანს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დოკუმენტი შეიძლება იყოს

⁴⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, 77-ე მუხლის პირველი ნაწილი; <https://matsne.gov.ge> (უკანასკნელად გადამოწმებულია 29/05/2019).

⁴¹ ხარაზიშვილი ბ., მტკიცებითი სამართალი (ნარკვევები), თბ., 1982, გვ. 274;

⁴² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2015, გვ. 273.

ნივთიერი მტკიცებულება. იმისათვის, რომ გავიგოთ რა შემთხვევაშია დოკუმენტი ნივთიერი მტკიცებულება, საჭიროა განვიხილოთ დოკუმენტური მტკიცებულების არსი და სახეები.

დოკუმენტური მტკიცებულება არ ნიშნავს იმას, რომ იგი აუცილებლად წერილობითი სახის ფურცელები უნდა იყოს, ის შეიძლება იყოს როგორც ფოტო, ისე ვიდეო ან სხვა ჩანაწერების სახით. მის ზუსტ განმარტებას სისხლის სამართლის პროცესიც იძლევა: „დოკუმენტი მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას. დოკუმენტად ითვლება ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით ან/და ფოტო-, კინო-, ვიდეო-, ბგერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით“.⁴³

იმისათვის, რომ დოკუმენტი სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების სახით დაერთოს, ამისათვის საჭიროა: მისი წარმომავლობა ცნობილი იყოს, იგი უნდა იყოს ავთენტური, ასევე შესაძლებელი უნდა იყოს იმ პირის დაკითხვა, რომელმაც შექმნა, მოიპოვა ან თუნდაც ვისთანაც ინახებოდა სასამართლოში წარდგენამდე.⁴⁴

წარმომავლობის ცოდნა ნიშნავს იმას, რომ საჭიროა ცნობილი იყოს ამ დოკუმენტის შედგენის თარიღი, ადგილი, ასევე ის პირი, ვინც უშუალოდ შეადგინა ეს დოკუმენტი. დოკუმენტის წარმომავლობის და ავთენტურობის დასადგენად არ არის სავალდებულო შემდგენელი პირების დაკითხვა, რადგან შეიძლება საქმის წარმოების დროისთვის ისინი უკვე გარდაცვლილები იყვნენ.⁴⁵

რაც შეეხება შექმნას და მოპოვებას, ერთ შემთხვევაში არის პირი, რომელმაც უშუალოდ შექმნა დოკუმენტი, ხოლო მეორე შემთხვევაში - პირი, რომელსაც, მართალია, არ შეუდგენია იგი, მაგრამ მისი მეშვეობით მოხდა ამ დოკუმენტის პოვნა და წარმოდგენა.⁴⁶

⁴³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მე-3 მუხლის 23-ე ნაწილი; <https://matsne.gov.ge> (უკანასკნელად გადამოწმებულია 29/05/2019)

⁴⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2015, გვ. 275;

⁴⁵ იქვე;

⁴⁶ იქვე.

კრიმინალისტიკაში არის განსაზღვრული ისეთი ტექნიკური-კრიმინალისტიკური გამოკვლევები, რომლებიც გვეხმარება დოკუმენტების უშუალო გამოკვლევაში, რათა არ მოხდეს მისი გაყალბება ან დაზიანების შემთხვევაში მოხდეს მისი აღდგენა.

კრიმინალისტიკაში ვნახავთ ხელნაწერების და დოკუმენტების გამოკვლევას, რადგან „დოკუმენტების ტექნიკურ-კრიმინალისტიკური გამოკვლევა შეისწავლის და აღგენს გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე დოკუმენტების და ფასიანი ქალაქების სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენებით გაყალბების ხერხებსა და ფაქტებს“.⁴⁷ სწორედ, ამ ტექნიკური საშუალების გამოყენებით, დოკუმენტის გამოკვლევისას დგინდება, არის თუ არა იგი გაყალბებული, კონკრეტულად რა ცვლილებაა მასში შეტანილი და როგორი იყო მისი თავდაპირველი სახე.

სისხლის სამართლის პროცესი იცნობს ნაწარმოებს და პირველად მტკიცებულებებს. შესაბამისად, დოკუმენტურმა მტკიცებულებამ შეიძლება მოგვცეს როგორც პირველადი მტკიცებულება, ისე ნაწარმოები მტკიცებულება. პირველადი მტკიცებულება გვხვდება მაშინ, როდესაც იგი პირდაპირ ასახავს მომხდარ ფაქტს, ნაწარმოები - როდესაც იგი გადმოგვცემს სხვა დოკუმენტის შინაარსს.⁴⁸

სსსკ-ს 78-ე მუხლის თანახმად, დოკუმენტს რომ მტკიცებულებითი ძალა ჰქონდეს, საჭიროა მისი წარმომავლობის ცოდნა. დოკუმენტები წარმოშობის მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად. ესენია: ოფიციალური და პირადი. ოფიციალურია, როდესაც დოკუმენტს აქვს რეკვიზიტები, ბეჭედი, ხელმოწერა და ა.შ., ხოლო პირადია ისეთი დოკუმენტი, რომელიც კერძო პირების მიერ არის გაცემული.⁴⁹

დოკუმენტური მტკიცებულება ადრე არ იყო გამიჯნული ნივთიერი მტკიცებულებისგან. ამ მოსაზრებას ასევე იზარებდა ა.ი ვიშინსკი და წერდა, რომ: „ჩვენი საპროცესო კოდექსი განასხვავებს ნივთიერ მტკიცებულებებს და წერილობით დოკუმენტებს, მიაკუთვნებს რა მათ მტკიცებულებათა ცალკეულ სახეებს. ამასთან,

⁴⁷ ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), სახელმძღვანელო, თბ., 2013.

⁴⁸ ხარაზიშვილი ბ., მტკიცებითი სამართალი (ნარკვევები), თბ., 1982 გვ. 284;

⁴⁹ ჭელიძე ს., საკანდიდატო დისერტაცია „ნივთიერ მტკიცებულებათა გამოყენების პრობლემა მკვლევლობის საქმეთა გამოძების პროცესში“, თბ., 2005 გვ. 64;

წერილობითი დოკუმენტი წარმოადგენს ნივთიერი მტკიცებულებების მხოლოდ სახეს“.⁵⁰

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც დოკუმენტი საქმეში გამოიყენება იმავდროულად ნივთიერ მტკიცებულებად. დოკუმენტის ნივთიერ მტკიცებულებად გამოყენების საშუალებას თავად კანონმდებლობაც გვაძლევს: „დოკუმენტი იმავდროულად შეიძლება იყოს სისხლის სამართლის საქმეზე ნივთიერი მტკიცებულება, თუ მას შეუნაცვლებლობის თვისება აქვს“.⁵¹ მაგალითად, არის შემთხვევები, როდესაც მკვლელის ადგილას აღმოჩენილია გაყალბებული დოკუმენტი, რომელზეც არის სისხლის ლაქა. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს როგორც მის შინაარსთან, ასევე მასზე არსებულ კვალთან.

პრეიუდიცია - განხილული მტკიცებულებებისაგან განსხვავებით, სისხლის სამართლის პროცესი იცნობს ისეთ ფაქტებს და გარემოებებს, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას. მას ეწოდება პრეიუდიცია. თავად სიტყვა „praeiudicium“ ლათინური სიტყვაა და ქართულად ნიშნავს „წინასწარ გადაწყვეტილს“.⁵²

სისხლის სამართლის პროცესი გვაძლევს იმ მტკიცებულებების ჩამონათვალს, რომელიც არ საჭიროებენ გამოკვლევას. ესენია: საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი; განაჩენი ნასამართლეობაზე; ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც დადგენილია სხვა სისხლის სამართლის საქმის განაჩენით, თუმცა, მის საეჭვობას პროცესის არც ერთი მონაწილე არ უნდა ხდიდეს; ასევე ის გარემოებები, რომელზედაც მხარეები შეთხმდებიან.⁵³

საყოველთაოდ ცნობილ ფაქტში იგულისხმება ის მოვლენები, რაც ყველასათვის ცნობილია. ეს შეიძლება იყოს როგორც ისტორიული მოვლენები, ისე ბუნებრივი. აღსანიშნავია, რომ ასეთი მოვლენები არ საჭიროებენ მტკიცებას, რადგან იგი უკვე საზოგადოებაში ყველასათვის ცნობილია. მაგალითად, 2015 წლის 13 ივნისს მოხდა

⁵⁰ ჭელიძე ს., საკანდიდატო დისერტაცია „ნივთიერ მტკიცებულებათა გამოყენების პრობლემა მკვლელის საქმეთა გამოძების პროცესში, თბ., 2005გვ. 65-66.

⁵¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, 78-ე მუხლის მეორე ნაწილი; <https://matsne.gov.ge> (უკანასკნელად გადამოწმებულია 15/05/2019)

⁵² თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014, გვ. 222;

⁵³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხ. 73.

<https://matsne.gov.ge> (უკანასკნელად გადამოწმებულია 29/05/2019)

წყალდიდობა თბილისში, მდინარე ვერეს ხეობაში, რის შედეგადაც გარდაიცვალა 19 ადამიანი. ამ ფაქტს არ სჭირდება მტკიცება, რადგან ეს მოვლენა მაშტაბური და გახმაურებული იყო.

სწორედ ამიტომ, როდესაც ვამბობთ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს, მას აღარ უნდა სჭირდებოდეს მტკიცება, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც სამართალწარმოების პროცესის დროს მხარეს აქვს უფლება, სადავო გახადოს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი. ეს ხდება ორი გარემოების არსებობის შემთხვევაში: „1. სასამართლოს მიერ გაკეთებული ამ ფაქტობრივი გარემოების განმარტება/შეფასება არ არის ზუსტი; 2. ეს გარემოება არ არის საყოველთაოდ ცნობილი“.⁵⁴

საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს ასევე ყოფენ ორ სახედ. ესენია: უნივერსალური და ლოკალური. უნივერსალურს მეკუთვნება ისეთი საყოველთაო ფაქტები, რომელიც ცნობილია ყველასათვის, ხოლო ლოკალური - მხოლოდ სასამართლოს განსჯადობის მიხედვით კონკრეტულ ტერიტორიაზე საყოველთაოდ ცნობილი.⁵⁵ ანუ მათ შორის განსხვავება მხოლოდ მოვლენების გავრცელების არეალია. მსგავსად საყოველთაოდ ცნობილი ფაქტისა, განაჩენი ნასამართლეობაზე წარმოადგენს პრეიუდიციულ მნიშვნელობას სისხლის სამართლის პროცესში.

უნდა ითქვას, რომ სსსკ-ს 73-ე მუხლი არ აკონკრეტებს, რომ ეს განაჩენი უნდა იყოს თუ არა საბოლოო, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ პრეიუდიცია, თავისი არსიდან გამომდინარე, არ უნდა საჭიროებდეს მტკიცებას, მიზანშეწონილია თუ ასეთი განაჩენი იქნება საბოლოო, რადგან სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო ან საკასაციო წესით.

პრეიუდიციის მომდევნო სახეს წარმოადგენს ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც დადგენილია სხვა სისხლის სამართლის საქმის განაჩენით, თუმცა მის საეჭვობას პროცესის არც ერთი მონაწილე არ ხდის. თუმცა, გასათავალისწინებელია ის ფაქტი, რომ თუ სხვა სისხლის სამართლის საქმეზე

⁵⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2015, გვ. 252;

⁵⁵ იქვე.

დადგენილი გარემოებები ეწინააღმდეგება ახალ საქმეზე გამოკვლევულ მტკიცებულებებს, ამ შემთხვევაში არ ხდება ასეთი გარემოებების გათვალისწინება.⁵⁶

პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება ასეთი სახის პრეიურიდიციები. მაგალითისთვის განვიხილოთ ერთ-ერთი ასეთი საქმე. ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ქ.ყ-მ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. საჩივარი ეხება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 20 მარტის განაჩენს, რომლის თანახმადაც უცვლელად დატოვა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 10 თებერვლის გამამართლებელი განაჩენი.კ.ბ-ს ბრალი ედებოდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის, რომელსაც უკვე ჰქონდა ადმინისტრაციული სახდელი დადებული. პროკურორის აღნიშნული მოთხოვნა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ დააკმაყოფილა და აღნიშნა, რომ პირს სსკ-ს 273-ე მუხლით რომ წარედგინოს ბრალდება, საჭიროა, მას უსწრებდეს ადმინისტრაციული პრეიურიდია ან ნასამართლეობა სსკ-ს 273-ე მუხლით.⁵⁷

სისხლის სამართლის საქმე მდგომარეობდა შემდეგში. აღნიშნულ პირს ადმინისტრაციული სახდელი შეეფარდა 2010 წლის 13 ნოემბერს, ხოლო შემდეგ 2014 წლის 14 დეკემბერს მას ბრალი წაეყენა სსკ-ს 273-ე მუხლით, რადგან მან ხელმეორედ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება, სანამ ადმინისტრაციული სახდელის მოხდის ვადა გაუვიდოდა.

ამის საფუძველზე 2013 წლის 12 თებერვალს მის მიმართ გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენი. თუმცა, 2013 წლის 2 ოქტომბერს იგი პრეზიდენტმა შეიწყალა და მოეხსნა ნასამართლეობა.

მიუხედავად ამისა, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატამ მიიჩნია, რომ კ.ბ-ს შეწყალების მიუხედავად, მის მიმართ მაინც არ დამთავრებულა სსკ-ს 273-ე მუხლის დანაშაულის შემადგებლობა, რადგან კ.ბ-მ 2013 წლის 10 ნოემბერს მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება ექიმის დანიშნულების გარეშე,

⁵⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2015, გვ. 252;

⁵⁷ საქმე N134აპ-14, თბ., 28 ივლისი, 2014

<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/news+-n65-mnishvn.ganmarteba.pdf>

ხოლო 2013 წლის 2 ოქტომბერს მისი შეწყალების მიუხედავად ძალაში დარჩა 2012 წლის 13 ნოემბრის ადმინისტრაციული სახდელი, რომელიც ჯარიმის სახით დაეკისრა.⁵⁸

შესაბამისად, ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებიდან კ.ბ-ს მიერ ხელახლა ნარკოტიკული მოხმარების დრომდე (2013 წლის 10 ნოემბერი) არ არის გასული ერთი წელი. გამომდინარე აქედან, უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი და ასევე აღნიშნა, რომ „იგი დამნაშავედ უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით, რომლის ფაქტობრივ გარემოებები, გარდა იმისა, რომ დადასტურებულია საქმეში არსებული საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებებით, ასევე დაცვის მხარე მათ სადავოდ არ ხდის“.⁵⁹

როგორც უკვე ავღნიშნეთ, პრეიუდიციული მნიშვნელობის შეიძლება იყოს ისეთი ფაქტები, რომელზედაც მხარეები შეთანხმდებიან. ამას არამართო სსსკ-ს 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს, არამედ სსსკ-ს 220-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტს, რომელშიც ნათქვამია, რომ წინასასამართლო სხდომის მოსამართლე საქმის არსებითი განხილვისთვის: „ამტკიცებს მხარეების მიერ წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხას, ასევე მათგან მიღებულ იმ მტკიცებულებათა ჩამონათვალს, რომლებსაც მხარეები სადავოდ არ ხდიან“.⁶⁰

გამომდინარე შეჯიბრებითობის პრინციპიდან, თავად მხარეები ირჩევენ, თუ რომელ მტკიცებულებებს წარადგენენ სასამართლოში და რომელ პოზიციას დაიცავენ. აქედან გამომდინარე, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ გარკვეულ საკითხებზე და იდავონ მხოლოდ იმაზე, რაზეც ისინი ვერ შეთანხმდებიან. სასამართლოს მხრიდან ისინი ამაში არ იზღუდებიან.

⁵⁸ იქვე;

⁵⁹ იქვე;

⁶⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, 220-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.
<https://matsne.gov.ge> (უკანასკნელად გადამოწმებულია 29/05/2019)

2.3. მტკიცებულების დასაშვებობა, როგორც მტკიცებულების შეფასების აუცილებელი კომპონენტი

დღეს მოქმედი სისხლის სამართლის პროცესი მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპზეა აგებული, ხოლო სასამართლო გვევლინება არბიტრის როლში. რაც შეეხება მტკიცების პროცესს, ის გვეხმარება სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში.

ზოგადად, მტკიცების პროცესის შესწავლის საგანია წარსულში მომხდარი ფაქტები, რომელიც უკავშირდება ჩადენილ დანაშაულს. ეს ფაქტები შემდგომში იქცევიან მტკიცებულებებად, რომელიც გვეხმარება კონკრეტულ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალდების მხარეს და დაცვის მხარე ვალდებული არ არის, ამტკიცოს საკუთარი უდანაშაულობა.

შესაბამისად, მტკიცების სუბიექტად გამოძიების ეტაპზე ითვლება გამომძიებელი, რადგან ის ღებულობს კონკრეტულ გადანყვეტილებებს, რაც სისხლის სამართლის

საპროცესო კოდექსით აქვს მინიჭებული და ამასთანავე, ახორციელებს გარკვეულ საგამოძიებო მოქმედებებს.⁶¹

რაც შეეხება პროკურორს, გამომდინარე იქიდან, რომ იგი პროცესში გამოდის სახელმწიფოს სახელით, მტკიცების ტვირთიც მთლიანად მას ეკისრება სასამართლოში. აქედან გამომდინარე, მტკიცების სუბიექტად გვევლინება სხვადასხვა პირი, მტკიცების სხვადასხვა ეტაპზე ანუ „მტკიცების სუბიექტად მიიჩნევა ნებისმიერი პირი, რომელიც რაიმე სახით მონაწილეობს მტკიცებით საქმიანობაში, გარკვეული უფლებები აქვს და განსაზღვრული მოვალეობები აკისრია“.⁶²

გასათვალისწინებელია ასევე ის ფაქტი, რომ გამომძიებელსა და პროკურორს მტკიცების პროცესში განსხვავებული ადგილი უკავია, რადგან ბრალდების მხარის წარმომადგენელს შეუძლია საპროცესო მოქმედებების ჩატარების გადანყვეტილება მიიღოს, მათი გადანყვეტილებების შესრულება სავალდებულოა და ისინი ვალდებულნი არიან ჩაატაროს სრული და ყოველმხრივი გამოძიება.⁶³

თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაცვის მხარეს არ შეუძლია მტკიცებულებათა მოპოვება და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, უბრალოდ, არის გამონაკლისები, რომლის შემთხვევაშიც დაცვის მხარეს არ გააჩნია უფლებამოსილება, რომ მოიპოვოს მტკიცებულება. „ამდენად, დაცვის მხარე ნამდვილად არის მტკიცების პროცესის სრულუფლებიანი მონაწილე“.⁶⁴

გამომდინარე იქიდან, რომ სისხლის სამართლის პროცესი აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე და მხარეები თავად ირჩევენ, თუ რა მტკიცებულებას წარადგენენ სისხლის სამართალწარმოების დროს. ისინი თავად განსაზღვრავენ მტკიცების საგანს და ფარგლებსაც. მტკიცების საგანს ყოფენ ორ კატეგორიად: ფაქტობრივი გარემოებები და გარემოებები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბრალდებულის პასუხისმგებლობაზე, მის ხარისხსა და ხასიათზე.

⁶¹ თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014, გვ. 228;

⁶² ჩხეიძე ი., მტკიცებულებათა დასასველობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2010, გვ. 50.

⁶³ ჩხეიძე ი., მტკიცებულებათა დასასველობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2010, გვ. 52;

⁶⁴ იქვე, გვ. 60;

ფაქტობრივ გარემოებებს წარმოადგენს ჩადენილი ქმედების ობიექტური და სუბიექტური გარემოებების დადგენა, ბრალდებულის მონაწილეობის ხარისხი ჩადენილ ქმედებაში, არსებობს თუ არა ბრალისა და მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებები, ხოლო პასუხისმგებლობის ხარისხსა და ხასიათს რაც შეეხება, მასში მოიაზრება პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები, რომელსაც განსაზღვრავს სისხლის სამართლის კოდექსი.⁶⁵

პროცესუალისტები მტკიცების საგანს სხვადასხვაგვარად განმარტავდნენ. ასე, მაგალითად, პროფესორ მ. ა. ჩელცოვის აზრით, მტკიცების საგანია, პირველ რიგში, ყველა ის ფაქტი, რომელიც პირადაპირ შეეხება სამართალში მიცემულის ბრალდების დასაბუთებას, მის მოქმედებას, ქმედობის შედეგს, მათ შორის მიზეზობრივ კავშირს, გარემოებებს, რომლებიც გამორიცხავენ მართლწინააღმდეგობას; ბრალის ფორმებს, გარემოებებს, რომლებიც გამორიცხავენ ქმედობის დასჯადობას“.⁶⁶

მტკიცების პროცესში გამოყოფენ სხვადასხვა სახის ეტაპებს. პირველ ეტაპს წარმოადგენს მტკიცებულებების მოპოვება, ხოლო შემდეგ - მისი საპროცესო დამაგრება, გამოკვლევა და შეფასება.

გამომდინარე იქიდან, რომ სისხლის სამართლის პროცესი ეყრდნობა შეჭიბრებითობის და თანასწორობის პრინციპს, მტკიცებულებათა მოპოვების დროს მხარეებს გააჩნიათ თანაბარი უფლებები და მოვალეობები. მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში მოსამართლეს მხოლოდ ის ევალება, რომ მხარეებს შეუქმნას ისეთი პირობები, რომ არ მოხდეს თანასწორობის პრინციპის დარღვევა მტკიცებულებათა მოპოვების დროს.

ბრალდების მხარის მსგავსად, დაცვის მხარეს ენიჭება უფლება, რომ თავად მოიპოვოს მტკიცებულებები, კერძოდ, პროცესის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, ბრალდებულს უფლება აქვს: ჩაატაროს გამოძიება და მოითხოვოს

⁶⁵ თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014, გვ. 233;

⁶⁶ ხარაზიშვილი ბ., მტკიცებითი სამართალი (ნარკვევები), თბ., 1982 გვ. 50.

საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება იმ შემთხვევაში, როდესაც მას ეს არ შეუძლია, გამოითხოვოს მტკიცებულება, კანონიერი გზით მოიპოვოს და წარადგინოს იგი.⁶⁷

ამ საკითხთან დაკავშირებით არანაირი უფლება არ აქვს ბრალდების მხარეს, რომ ეს უფლებები შუზღუდოს მეორე მხარეს. ასევე, ბრალდების მხარე ვალდებულია სსსკ-ს 144-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე, როდესაც კვლევის ობიექტი მასთან ინახება, იგი ვალდებულია დაცვის მხარის ექსპერტს გადასცეს. არის შემთხვევები, როდესაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი ვერ ახერხებს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას, რომ მოიპოვოს მტკიცებულება. ამ დროს, მას შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს, რის საფუძველზეც სასამართლოს გამოაქვს განჩინება, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ. განჩინების საფუძველზე, საგამოძიებო მოქმედებებს ახორციელებს გამომძიებელი, თუმცა ეს გამომძიებელი არ უნდა იყოს ის ვინც კონკრეტულ საქმეში გამოძიებას აწარმოებს, რადგან „მოსამართლე ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა, რათა ბრალდების მხარისათვის ცნობილი არ გახდეს დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების მოპოვება“⁶⁸.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მტკიცებულებათა მოპოვების ეტაპზე არის ისეთი შემთხვევები, როდესაც დაცვის მხარეს ეზღუდება უფლებები. განსხვავებით ბრალდების მხარისა, დაცვის მხარეს უფლება არ აქვს, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში თავად მოიპოვოს ესა თუ ის მტკიცებულება და ასევე არა აქვს უფლება, ჩაატაროს ფარული საგამოძიებო მოქმედებები, რათა მოიპოვოს მტკიცებულება.⁶⁹

აქვე შეგვიძლია გავისენოთ ის ფაქტი, რომ კანონის თანახმად, ბრალდების მხარეს შეუძლია მონშე დაკითხოს მაგისტრატ მოსამართლესთან, როდესაც თავად მონშე უარს აცხადებს გამოკითხვაზე. ამაზე უფრო დეტალურად ვისაუბრებთ ქვევით, როცა განვიხილავთ მონშის ჩვენებას.

⁶⁷ ჩომახაშვილი ქ., თომაშვილი თ., ძეგნიაური გ., ოსეთაშვილი ს., პატარიძე მ., მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2016, გვ. 13.

⁶⁸ ჩომახაშვილი ქ., თომაშვილი თ., ძეგნიაური გ., ოსეთაშვილი ს., პატარიძე მ., მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2016, გვ. 14;

⁶⁹ თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014, გვ. 227;

მტკიცებულებათა მოპოვებას თან სდევს მისი საპროცესო დამაგრება. საპროცესო დამაგრებაში იგულისხმება ის პროცედურა, როდესაც საგამოძიებო ოქმში გამომძიებელი აფიქსირებს აღმოჩენილ მტკიცებულებებს. საგამოძიებო ოქმს ადგენს გამომძიებელი, რის საფუძველზეც მას ევალება ზუსტად კანონის დაცვით შევასოს ოქმი. იგი მასში წერს, საგამოძიებო მოქმედების დროს და ადგილს, ასევე ყველანაირ მოქმედებას რაც საგამოძიებო მოქმედებასთან არის დაკავშირებული.

ასევე გასათვალისწინებელია ის, რომ გამომძიებელს არა მარტო წერიითი სახით შეუძლია მტკიცებულებათა დამაგრება, არამედ სხვა საშუალებების გამოყენებითაც - „მტკიცებულებათა დამაგრების მიზნით გამოიყენება არა მხოლოდ ოქმი, არამედ ტექნიკური საშუალებები: ფოტოაპარატი, ვიდეოაპარატი, კინოაპარატი“⁷⁰.

რაც შეეხება, მტკიცებულებათა გამოკვლევას, იგი შესაძლებელია, როგორც გამოძიების დროს, ისე სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ გამოკვლევა ხორციელდება ან მხარეების მიერ ან მხარის ინიციატივით ექსპერტის მიერ. ექსპერტის აყვანა დაცვის მხარეს შეუძლია საკუთარი ხარჯებით და ასევე სახელმწიფო ხარჯზე, როდესაც იგი გადახდისუნაროა.

ამ შემთხვევაში კანონმდებლობა ხაზს უსვამს თანასწორობის პრინციპს. შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეებს უფლება აქვთ, თავად გამოიკვლიონ მტკიცებულებები, დაკითხონ მოწმეები და სასამართლოს წარუდგინონ მტკიცებულებები. გამოკვლევის ჩატარება შეუძლია მხარეს, რომელმაც მოიპოვა ეს მტკიცებულება და ასევე მეორე მხარეს. ამასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პროცესის კოდექსში მე-14 მუხლის პირველი ნაწილი აკეთებს დათქმას - „სასამართლოს (ნაფიც მსაჯულებს) არ უნდა წარუდგინოს მტკიცებულება, თუ მხარეებს მისი უშუალო და ზეპირად გამოკვლევის თანაბარი შესაძლებლობა არ ჰქონიათ, გარდა ამ კოდექსით გათვალისწინებული გამონაკლისებისა“⁷¹

⁷⁰ სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), ავტორთა კოლექტივი, მეორე გამოცემა, გამომც. „სამართალი“, თბ., 2009, გვ. 404.

⁷¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხ. 14; <https://matsne.gov.ge> (უკანასკნელად გადამოწმებულია 29/05/2019)

სწორედ ამიტომ, საპროცესო კოდექსი ცალკეულ შემთხვევებში ვადებს უწესებს მხარეებს, რათა დროულად მოხდეს მათ მიერ მტკიცებულებების გაცვლა. მაგალითად, სსსკ-ს 83-ე მუხლის მე-6 ნაწილი ავალდებულებს მხარეებს, არა უგვიანეს 5 დღეში წინასასამართლო სხდომამდე, მიანდონ სასამართლოს ის მტკიცებულებები, რომელიც იმ დროისათვის აქვთ მოპოვებული.

სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს „ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევაში მონაწილეობს დაცვის მხარე, ხოლო დაცვის მხარის წარდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევაში-ბრალდების მხარე“⁷².

საქმის არსებითი განხილვის დროს მას შემდეგ იწყება მტკიცებულებათა გამოკვლევა, როდესაც მხარეები შესავალ სიტყვას მორჩებიან. აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ კანონის თანახმად ჯერ ბრალდების მიერ წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევა იწყება, შემდეგ კი დაცვის მხარის. მხარეები არ არიან შეზღუდულნი იმაში, თუ რა მოცულობის მტკიცებულებას წარადგენენ ან რა თანმიმდევრობით.

ჩვენ უკვე ავლნიშნეთ, რომ მოსამართლეს არ აქვს უფლება, მიიღოს მონაწილეობა მტკიცებულებათა მოპოვებასა და გამოკვლევაში, თუმცა არის გამონაკლისი, როდესაც მოსამართლეს აქვს უფლება, მხარეთა შეთანხმების შედეგად დასვას დამაზუსტებელი შეკითხვა. ამას იგი არა რომელიმე მხარის დასახმარებლად აკეთებს, არამედ სამართლიანი მართლმსაჯულებისთვის.

მტკიცებით პროცესში საბოლოო ეტაპს წარმოადგენს მტკიცებულებათა შეფასება. გამომდინარე იქიდან, რომ სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებებს არ აქვთ წინასწარ დადგენილი ძალა, მას აფასებენ პროცესის მხარეები და თავად სასამართლო. ამ შემთხვევაში შეფასება ხდება მათი შინაგანი რწმენის საფუძველზე, რომელიც აუცილებლად უნდა ემყარებოდეს მტკიცებულების უტყუარობასა და მის რელევანტურობას. რელევანტურობა ნიშნავს იმას, თუ რამდენად არის მტკიცებულება კონკრეტულ საქმესთან კავშირში და მტკიცების საგანთან.⁷³“ რაც

⁷² თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014, გვ. 229.

⁷³ იქვე;

შეეხება მტკიცებულების უტყუარობას, მასში მოიაზრება მისი სანდოობა და ავთენტურობა“.⁷⁴

აღნიშნულის მიუხედავად, საბოლოოდ მტკიცებულებათა შეფასებას ახორციელებს სასამართლო, რომელიც წყვეტს მის დასაშვებობას არსებით განხილვაზე. სსსკ-ს 72-ე მუხლი პირველი და მეორე ნაწილი გვაძლევს სრულ ჩამონათვალს იმ შემთხვევებისას, რომლის გამოც შეიძლება მტკიცებულება დაუშვებლად ცნოს სასამართლომ. ესენია: კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები და ასევე, მის საფუძველზე მოპოვებული კანონიერი მტკიცებულებები; ისეთი სახის მტკიცებულებები, რომელიც მართალია კანონის დაცვით არის მოპოვებული, მაგრამ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ მოხდა მისი გამოცვლა, ნიშან-თვისებების შეცვლა ან თუნდაც მასზე დარჩენილი კვალის გაქრობა.⁷⁵

მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლე შინაგანი რწმენის საფუძველზე აკეთებს მტკიცებულებათა შეფასებას, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოსამართლის გადაწყვეტილება შეიძლება არ შეესაბამებოდეს გამოკვლეულ მტკიცებულებებს. მას სსსკ-ს 259-ე მუხლის მე-3 ნაწილი ავალდებულებს, რომ მისი ყველა გადაწყვეტილება ან დასკვნა იყოს დასაბუთებული.

სისხლის სამართალწარმოების პროცესში მტკიცების სტანდარტებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ხოლო მტკიცებულებებს პროცესის ნებისმიერ სტადიაზე უწევთ მტკიცებითი სტანდარტების გავლა.

მტკიცებულებები მტკიცების სტანდარტებს გადიან იმისათვის, რომ მოხდეს მათი დასაშვებობა და მის საფუძველზე შემდგომ გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა. თითოეული სტადია სხვადასხვა მნიშვნელობას იძენს პროცესის გარკვეულ ეტაპზე. იმისათვის, რომ ამ სტადიების დანიშნულება ერთმანეთში არ აგვერიოს, საჭიროა განვმარტოთ ისინი. სისხლის სამართლის

⁷⁴ იქვე.

⁷⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, 72-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილი.

<https://matsne.gov.ge> (უკანასკნელად გადამოწმებულია 29/05/2019)

პროცესში გამოყოფენ სამი სახის სტადიას. ესენია: დასაბუთებული ვარაუდი, ალბათობის მაღალი ხარისხი და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი.

პირველ რიგში, დავინწყით დასაბუთებული ვარაუდით, რომელსაც ყველაზე დაბალ სტანდარტად მოიხსენიებენ სისხლის სამართლის პროცესში. დასაბუთებული ვარაუდი არის „ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა, ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებითი სტანდარტი“⁷⁶.

მას ყველაზე დაბალ სტანდარტად მხოლოდ იმიტომ მოიხსენიებენ, რომ იგი გამოიყენება მხოლოდ გამოძიების ეტაპზე. მისი ნათელი მაგალითია პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება, რომლის თანახმადაც დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე შეუძლია პირი ცნოს ბრალდებულად და დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა. მის საფუძველზე ხდება ასევე ისეთი ღონისძიებების გამოყენება, რომელიც ამავდროულად პირს უზღუდავს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებას. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის 169-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის თანახმად, გამოძიების ეტაპზე მოპოვებული მტკიცებულებათა ერთობლიობით და დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე პროკურორს აქვს უფლება, პირი ცნოს ბრალდებულად.

მას შემდეგ, რაც პროკურორი პირს ბრალდებულად ცნობს ან თუნდაც მანამდე, სანამ პირს ბრალი წაეყენება, მას აქვს მისი დაკავების უფლება.⁷⁷ დაკავება არის თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა⁷⁸, რაც ეწინააღმდეგება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას, კერძოდ - პიროვნების ხელშეუხებლობას. ვინაიდან სისხლის სამართლის პროცესი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, რადგან მას უმაღლესი ადგილი უჭირავს საქართველოს

⁷⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2019., მე-3 მუხლის მე-11 ნაწილი;

<https://matsne.gov.ge> (უკანასკნელად გადამოწმებულია 29/05/2019)

⁷⁷ იქვე, მუხ. 169;

⁷⁸ იქვე, მუხ. 170.

კანონმდებლობაში და სხვა ყველა დანარჩენი კანონი უნდა გამომდინარეობდეს მისგან და არ ეწინააღმდეგებოდეს მას.

თუმცა, პროცესის აღნიშნული მუხლები არ შეესაბამებიან კონსტიტუციას. კერძოდ, მე-18 მუხლს, ვინაიდან მასში ნათქვამია, რომ: „ადამიანის თავისუფლება დაცულია“⁷⁹. ამავე მუხლის მეორე ნაწილში ნათქვამია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე პირს არ უნდა შეეზღუდოს თავისუფლება. ამიტომ, სამართლიანი იქნება, თუ პირის დაკავების უფლება პროკურორის დისკრეციულ უფლებაში კი არ შედიოდეს, არამედ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ხდებოდეს.

აღსანიშნავია ის, რომ 1998 წლის სსსკ-ის 72-ე მუხლი მოწმობს იმაზე, რომ ადრე შესაძლებელი იყო გამოძიების ეტაპზე პირისათვის ბრალის წაყენება, მხოლოდ იმიტომ, რომ მის მიმართ არსებობდა ეჭვი იმის, რომ მან ჩაიდინა დანაშაული. ამას მოწმობს თავად ამ მუხლის დისპოზიციაც: „თუ არსებობს საფუძველი ეჭვისთვის, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ ეს არ არის საკმარისი მისთვის ბრალდების წასაყენებლად, გამომძიებელი პროკურორის თანხმობით ან პროკურორი ცნობს მას ეჭვმიტანილად, რის შესახებაც გამოაქვს დადგენილება“⁸⁰.

აღნიშნული ცვლილება, რათმა უნდა მისაღებია, ვინაიდან ეჭვი უფრო ფართო ცნებაა და ემყარება მხოლოდ პირის შინაგან რწმენას, ამ შემთხვევაში მტკიცების სტანდარტი უფრო დაკონკრეტდა, რადგან მხოლოდ ეჭვის საფუძველზე არ შეიძლება პირს ბრალი წაუყენოთ.

განსხვავებით დასაბუთებული ვარაუდისა, ალბათობის მაღალი ხარისხი წარმოადგენს უფრო მაღალ სტანდარტს, რადგან იგი გამოიყენება არა გამოძიების ეტაპზე, არამედ წინასასამართლო სხდომაზე. ამასთანავე, იგი საჭიროებს ბევრ მტკიცებულებას, რომელზე დაყრდნობითაც წინასასამართლო სხდომის მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას, საქმე გადასცეს თუ არსებით განსახილველად ანუ ალბათობის მაღალი ხარისხი არის „წინასასამართლო

⁷⁹ საქართველოს კონსტიტუცია, 1995, მე-13 მუხ., 1 ნაწ.;

<https://matsne.gov.ge> (უკანასკნელად გადამოწმებულია 20/04/2019)

⁸⁰ კავკასიის სამართლის სკოლა, ჟურნალი N6, „სამართლებრივი განვითარება“, სტუდენტთა მე-9 სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეთა ნაშრომები, 2014, გვ. 14.

სხომამზე საქმის არსებითად განსახილველად გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლის სახელმძღვანელო სტანდარტი, რომელიც ეყრდნობა სხდომამზე წარმოდგენილ ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას და საკმარისია ვარაუდის მაღალი ხარისხისთვის, რომ მოცემულ საქმეზე გამოტანილ იქნება გამამტყუნებელი განაჩენი⁸¹.

აღნიშნული სტანდარტი მოსამართლეს ეხმარება, რომ დაადგინოს პირის მიერ მიმართ წაყენებული ბრალდება არის თუ არა საფუძვლიანი, რომ შემდგომში არსებითი განხილვის დროს არასაკმარისი მტკიცებულებების გამო არ მოხდეს სამართლებრივი დევნის შეწყვეტა.

ასეთი შემთხვევები კი პრაქტიკაში ბევრია. მაგალითად, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე #989აპ-08, აღნიშნული განჩინება ეხება სისხლის სამართლის საქმეში არსებული გარემოებების, სრულ და ობიექტურ დარღვევას. აღნიშნული დარღვევა გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა და მიმართა საკასაციო საჩივრით საქართველოს უზენაეს სასამართლოს. კონკრეტულად საქმის არსი კი შემდეგში მდგომარეობს, მსჯავრდებულს ბრალი დაედო დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შექმნა/შენახვაში და ასევე მის უკანონოდ შემოტანაში.⁸²

საქმეში აღწერილია, რომ მსჯავრდებულ ზ.გ-ს ბელგიიდან დაუკავშირდა დაუდგენელი პიროვნება-მ.გ, რომელმაც უთხრა, რომ უგზავნიდა მას მანქანას, რომელშიც იქნებოდა დიდი რაოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება - „სუბოტექსი“. მსჯავრდებული პირი ჩავიდა ქალაქ ფოთში და საბაჟოდან გამოიყვანა მანქანა, რა მომენტშიც დააკავეს იგი. მსჯავრდებულის ადვოკატი წერს საჩივარში, რომ : „ზ.გ-რის მიმართ შერაცხული ბრალდება ძირითადად აგებულია ავტომანქანის ჩხრეკის მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე და სხვა მტკიცებულებები ამსაქმეში არ არსებობს; გამოძიების არც ის ფაქტობრივი გარემოებები, რითაც შესაძლებელი იქნებოდა საქმეში ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა და სხვა დამნაშავეთა ჯგუფის გამოვლენა; არ გამოუკვლევია, თუ ვინ არის მ.გ-რი, ნამდვილად ცხოვრობს თუ არა

⁸¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხ. 3, ნაწ. 12;

<https://matsne.gov.ge> (უკანასკნელად გადამოწმებულია 29/05/2019)

⁸² თბილისის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება , #989აპ-08

<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/sisxli-2009-04-uni.pdf>

იგი გერმანიაში⁸³. გასათვალისწინებელია ასევე ისიც, რომ ადვოკატმა ერთხელ უკვე მიმართა საჩივრით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს იმისათვის, რომ გაეუქმებინა ფოთის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, თუმცა განაჩენი უცვლელად დარჩა.

აღნიშნული საკითხებიდან გამომდინარე, ადვოკატი ითხოვს მსჯავრდებულის გამართლებას, ხოლო უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატამ განიხილა ადვოკატის მიერ წარდგენილი საჩივარი და არ დააკმაყოფილა იგი, მაგრამ საქმე ახლიდან განსახილველად გადასცა იმავე სასამართლოს. პალატამ ჩათვალა, რომ აღნიშნული სასამართლო განაჩენი დაუსაბუთებელია, რადგან „პირადი და ავტომანქანის ჩხრეკის, ამოღების ოქმებიდან, ქიმიური ექსპერტიზის #116/ქ დასკვნის, ნივთიერ მტკიცებულებად ცნობის შესახებ დადგენილებისა და საქმის სხვა მასალებიდან უტყუარად არ გამომდინარეობს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენით დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებანი“.⁸⁴

სანამ სისხლის სამართლის პროცესი ცვლილებებს განიცდიდა, ალბათობის მაღალი ხარისხი სრულიად სხვა დატვირთვით გამოიყენებოდა პროცესში, მისით ხდებოდა პირის ბრალდებულად ცნობა: „ბრალდების წაყენების საფუძველია იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ კონკრეტულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული“.⁸⁵

აქედან გამომდინარე, როგორც ვხედავთ, დიდი მნიშვნელობა აქვს წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა სწორ შეფასებას მოსამართლის მხრიდან, რაშიც მას, როგორც უკვე ავღნიშნეთ, ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტი ეხმარება.

ზემო განხილული სტანდარტებისგან განსხვავებით, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი სრულიად გამორიცხავს საქმეში ყოველგვარ ეჭვს. ეს გამოიხატება

⁸³საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე #4 , 2009, გვ 5;

⁸⁴ იქვე, გვ 6.

⁸⁵ კავკასიის უნივერსიტეტი, ჟურნალი N6, „სამართლებრივი განვითარება“, სტუდენტთა მე-9 სამეცნიერო კომფერენციის მონაწილეთა ნაშრომები, 2014, გვ. 15;

იმაში, რომ ობიექტურ პირს ბრალდებულის მიმართ წაყენებული ბრალდებისადმი, რომელიც მტკიცებულებათა ერთობლიობის საფუძველზე წაყენა, ეჭვი არ უნდა ეპარებოდეს ანუ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი არის „სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში“.⁸⁶

თუ პირის მიმართ წაყენებულ ბრალდებაში და მის დამნაშავეობაში არსებობს ეჭვი ამ შემთხვევაში, ნებისმიერი ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ in dubio pro reo-ს პრინციპიდან გამომდინარე.⁸⁷

2.3.1. მტკიცებულების დასაშვებობის ცნება და ელემენტები

მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცალკე თავი აქვს დათმობილი მტკიცებულებებს, რადგან იგი დიდ როლს თამაშობს დანაშაულის გამოძიებასა და სამართლიანობის აღსრულებაში. მტკიცებულებები რომ არა, შეუძლებელი იქნებოდა ჩადენილი დანაშაულისთვის იმ პირის დასჯა, რომელმაც ჩაიდინა კონკრეტული დანაშაული.

ამიტომ, მართლმსაჯულების განხორციელებისათვის საჭიროა ისეთი მტკიცებულებების გამოყენება, რომელიც არ არის კანონსაწინააღმდეგოდ მოპოვებული, რადგან „კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს“.⁸⁸ გამომდინარე იქიდან, რომ სისხლის სამართლის პროცესი არ განსაზღვრავს იმ კრიტერიუმებს, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს მისი დასაშვება, ნეგატიური ენუმერაციის პრინციპიდან გამომდინარე, მტკიცებულება დასაშვებია, თუ მისი დაუშვებლად ცნობის საფუძველები არ არსებობს.

განსხვავებით დღეს მოქმედი კანონმდებლობისა, 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლში დაკონკრეტებული იყო ყველას ის

⁸⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხ. 3, ნაწ. 13;

<https://matsne.gov.ge> (უკანასკნელად გადამოწმებულია 29/05/2019)

⁸⁷ თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014, გვ. 238.

⁸⁸ საქართველოს კონსტიტუცია, 1995, 42-ე მუხლი, მე-7 პუნქტი.

<https://matsne.gov.ge> (უკანასკნელად გადამოწმებულია 26/03/2019)

გარემოება, რომლის თანახმადაც მტკიცებულება უნდა მიჩნეულიყო დაუშვებლად, ასეთ მტკიცებულებას წარმოადგენდნენ: ა. მტკიცებულებები, რომლებიც მოპოვებული იყო იმ თანამდებობის პირის მიერ, ვისაც არ ჰქონდა ამის უფლებამოსილება; ბ. მტკიცებულებები, რომლებიც მოპოვებულ იქნა იმ წყაროდან, რომელიც არ არის გათვალისწინებული კანონით; გ. მტკიცებულებები, რომლებიც მოპოვებულია უკანონო მოქმედებებით, მაგალითად: მუქარა, მოტყუება, ძალადობა და ა. შ ; დ. მტკიცებულებები, რომლებიც მომდინარეობს ისეთი პიროვნებისგან, ვინც კანონის დარღვევით მოიპოვა იგი ან არ შეუძლია იმ წყაროს მითითება, რომლიდანაც მოიპოვა ეს მტკიცებულება.⁸⁹

რაც შეეხება მოქმედ საპროცესო კოდექსს, იგი განაზოგადებს იმ გარემოებებს, რომლის არსებობისასაც მტკიცებულება დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული. კერძოდ, განსაზღვრავს, რომ: 1. თუ მტკიცებულება მოპოვებულია კანონის დარღვევით და მის საფუძველზე მოპოვებულია კანონის დაცვით სხვა მტკიცებულება, იგი დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი, თუ აუარესებს ბრალდებულის მდგომარეობას; 2. თუ მტკიცებულება მოპოვებულია კანონის დაცვით, მაგრამ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ იგი შესაძლოა გამოცვალებს ან მას თავად შეეცვალა ნიშან - თვისებები ან მასზე არსებული კვალი გაქრა, ასეთი სახის მტკიცებულებები არ უნდა იქნეს დაშვებული საქმეზე.⁹⁰ აღნიშნულიდან გამომდინარე, ყველა მტკიცებულება, რომელიც მხარეთა მიერ იქნა მოპოვებული ვერ იქნება სისხლის სამართლის საქმეზე დასაშვები თუ ეს მტკიცებულებები არ არის მოპოვებული კანონის მოთხოვნის შესაბამისად.⁹¹

სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად საჭიროა პროცესუალური ნორმების გამოყენება, რადგან - „სამართლებრივ სახელმწიფოში

⁸⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998, 111-ე მუხლის პირველი ნაწ.;

⁹⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, 72-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილი;

<https://matsne.gov.ge> (უკანასკნელად გადამოწმებულია 29/05/2019)

⁹¹ თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014, გვ. 248;

ჭეშმარიტების დადგენა არ არის სისხლის სამართლის პროცესის აბსოლიტური მიზანი, ვინაიდან იგი განიცდის გარკვეულ კანონისმიერ ბოჭვებს.⁹²

სწორედ ამიტომ, საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 ნაწილზე დაყრდნობით, რომელიც განმარტავდა, რომ „კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს“⁹³, არაკონსტიტუციურად გამოაცხადა სსსკ-ს 72-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვები - „ამ კოდექსის“, რომლითაც ეს ნაწილი იწყებოდა.

განმარტებაში ნათქვამი იყო, რომ: „მოქმედი კანონმდებლობა, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და საქართველოს კონსტიტუცია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღმაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის საქმეზე წარსადგენი მტკიცებულებების მოპოვების წესებს, ხოლო სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილი ქმნის ზემოთ დასახელებული აქტების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობის შესაძლებლობას სისხლის სამართლის საქმეზე.“⁹⁴

გამომდინარე იქიდან, რომ სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას მტკიცებულების დასაშვებად ან დაუშვებლად ცნობაზე, გადაწყვეტილების მიღებისას იგი უნდა ეყრდნობოდეს ისეთ მტკიცებულებებს, რომელიც კანონიერი გზით არის მოპოვებული და არ არსებობს ეჭვი მის სანდობაზე. ასევე, ლეგიტიმაციას არის მოკლებული ბრალდებულისათვის სასჯელის დანიშვნა ისეთი სახის მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომელიც მოპოვებულია სახელმწიფო ორგანოების მიერ კანონის დარღვევით. სახელმწიფო, რომელმაც თავად დაარღვია კანონი და შემდეგ სასჯელს უნიშნავს პირს, უგულველყოფს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს.

სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა მიერ მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად დაშვების აკრძალვა, ემსახურება რამდენიმე მიზანს - 1. სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას; 2. იმ უფლებების დაცვას, რომელიც

⁹² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, გვ. 244.

⁹³ საქართველოს კონსტიტუცია, 1995, 42-ე მუხლის 7-ე ნაწილი;
<https://matsne.gov.ge> (უკანასკნელად გადამოწმებულია 29/05/2019)

⁹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N2/2/579, 31/07/2015.

კონსტიტუციით აქვს მინიჭებული პროცესის მონაწილეობა; 3. დისციპლინირება სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოების; 4. იგი ემსახურება იმას, რომ სახელმწიფოს მიმართ არსებობდეს ნდობა და დაცული იქნას სასჯელის პრევენციის მიზანი.⁹⁵

გამომდინარე იქიდან, რომ სისხლის სამართლის პროცესი შეჯიბრებითობის პრინციპზეა აგებული, სასამართლო ვალდებულია, რომ უზრუნველყოს პროცესის სამართლიანობა, ხელი შეუწყოს მხარეებს ისეთი მტკიცებულების მოპოვებასა და გამოკვლევაში რომელთა მოპოვებაც მათ არ შეუძლიათ. როგორც არაერთხელ აღინიშნა, საპროცესო კოდექსი ასევე ითვალისწინებს და იცავს პროცესის მონაწილეთა კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებს.

კერძოდ, სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი ამბობს, რომ: „მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეები ვალდებული არიან სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე დაიცვან პროცესის მონაწილეთა ღირსება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა“;⁹⁶ ხოლო საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი ამბობს: „ადამიანის ღირსება ხელშეუვალია და მას იცავს სახელმწიფო“.⁹⁷

თვალსაჩინოებისთვის ასევე უნდა აღინიშნოს, როგორ მოდის თანხვედრაში კონსტიტუციის მე-9 მუხლის მეორე ნაწილი - „დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური და დამამცირებელი სასჯელის გამოყენება“⁹⁸ და სსსკ-ს მე-4 მუხლის მეორე ნაწილი - „დაუშვებელია ადამიანის ნების თავისუფლებაზე ზემოქმედება წამების, ძალადობის, სასტიკი მოპყრობის, მოტყუების, სამედიცინო ჩარევის, ჰიპნოზის, ასევე სხვა ისეთი ღონისძიებების გამოყენებით, რომლებიც ზემოქმედებს ადამიანის მესხიერებაზე ან აზროვნებაზე. აგრეთვე დაუშვებელია მუქარა ან ისეთი შელავათების დაპირება,

⁹⁵ თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014, გვ. 242;

⁹⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მე-4 მუხლის პირველი ნაწილი; <https://matsne.gov.ge> (უკანასკნელად გადამოწმებულია 6/04/2019)

⁹⁷ საქართველოს კონსტიტუცია, 1995, მე-9 მუხლის პირველი ნაწილი; <https://matsne.gov.ge> (უკანასკნელად გადამოწმებულია 18/04/2019)

⁹⁸ იხ. იქვე, მე-9 მუხლის მეორე ნაწილი.

რომლებიც კანონით არ არის გათვალისწინებული“.⁹⁹ აღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალდებული სრულიად დაცულია გამოძიების ორგანოების მხრიდან მისი უფლებების დარღვევაში. მიუხედავად ამისა, პრევენციის მიზნით საჭიროა მაინც მოხდეს დისციპლინირება იმ ორგანოების, რომლებიც ახორციელებენ სისხლისამართლებრივ დევნას.

ასევე, დისციპლინირება საჭიროა მტკიცებულებათა დასაშვებობისათვის, რადგან მათ მიერ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებების ჩატარების საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულებები დაუშვებელია სისხლის სამართლის საქმეზე. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ „როდესაც ბრალდება ეფუძნება კანონდარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს და ასეთი მტკიცებულებები დაუშვებლად იქნება ცნობილი, შედეგად ამას დამნაშავე პირის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებაც კი შეიძლება მოყვეს ბრალდების არასაკმარისი მტკიცებულებების გამო“.¹⁰⁰

შესაბამისად, სისხლისამართლებრივი დევნის ორგანოები მტკიცებულებათა დასაშვებობის პრინციპიდან გამომდინარე იძულებულნი არიან არ დაარღვიონ კანონი მტკიცებულებების მოპოვებისას, რადგან მათი არასწორი მოქმედება პირველ რიგში უსარგებლო იქნება მათთვის და ზიანის მომტანი სისხლის სამართლის საქმისთვის.

აგრეთვე, უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცებულებათა დასაშვებობა ემსახურება სახელმწიფოს მიმართ ნდობის ჩამოყალიბებას და სასჯელის პრევენციას. სახელმწიფოს მიმართ ნდობა იმაში გამოიხატება, რომ საქმის არსებით განხილვაზე მოსამართლე უფლებამოსილია სისხლის სამართლის საქმეზე არ დაუშვას ისეთი სახის მტკიცებულებები, რომელიც არამართლზომიერი გზით არის მოპოვებული, „ეს კიდევ უფრო ამყარებს მოქალაქეთა რწმენას მართლმსაჯულების სისტემისადმი“.¹⁰¹

მაშასადამე, იმისათვის, რომ სახელმწიფომ ნდობა და ავტორიტეტი შეინარჩუნოს, საჭიროა სამართლებრივად მოპოვებული და გამოკვლეული მტკიცებულებების

⁹⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მე-4 მუხლის მეორე ნაწილი;

<https://matsne.gov.ge> (უკანასკნელად გადამოწმებულია 29/05/2019)

¹⁰⁰ თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014, გვ. 245.

¹⁰¹ თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014, გვ. 246;

საფუძველზე მოახდინოს განაჩენის გამოტანა. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სასჯელის პრევენციასაც ემსახურება დაუშვებელი მტკიცებულების ინსტიტუტი.¹⁰² რადგან სასჯელის მიზანი მხოლოდ ის არის, რომ მოხდეს დამნაშავის რესოციალიზაცია და დამნაშავის იზოლაციით საზოგადოების დაცვა.¹⁰³

მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითს, როდესაც ვეხებით უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ არსებობს ცალკეული შემთხვევები, რომელთა არსებობისასაც (მოცემული სიტუაციიდან გამომდინარე) ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს მტკიცებულებათა დაშვება-არდაშვების საკითხი. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ, ბრალდებულის და მონმის საპროცესო უფებების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება.

დავინყოთ, პირველ რიგში, ბრალდებულის უფლებების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხის განხილვა. „nemo tenetur se ipsum accusare“-არის პრინციპი, რომლის თანახმადაც დაუშვებელია პირის იძულება, რომ საკუთარი თავის წინააღმდეგ მისცეს ჩვენება. ეს პრინციპი გათვალისწინებულია ასევე საქართველოს კონსტიტუციაშიც - „არავინ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრე განისაზღვრება კანონით“.¹⁰⁴

ამის გარდა, სსსკ-ს 38-ე მუხლის მე-2 ნაწილი ამბობს, რომ: „დაკავების მომენტში ან თუ დაკავება არ ხდება - ბრალდებულად ცნობისთანავე, დაუყოვნებლივ, ასევე ნებისმიერი დაკითხვის წინ ბრალდებულს უნდა ეცნობოს, რომ მას აქვს უფლება ადვოკატზე, დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება, უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული, რომ ყველაფერი, რასაც იგი იტყვის, შესაძლებელია მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული“¹⁰⁵.

შესაბამისად, როდესაც ბრალდებულის ამ უფლებებს ვხელვყოფთ, სახეზე გვაქვს კანონის არსებითი დარღვევა და ასეთი სახით მოპოვებული მტკიცებულება

¹⁰² იხ. იქვე;

¹⁰³ ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 44;

¹⁰⁴ საქართველოს კონსტიტუცია, 1995, მუხლი 31, ნაწილი-11

<https://matsne.gov.ge> (უკანასკნელად გადამოწმებულია 06/03/2019)

¹⁰⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, 38-ე მუხლის მე-2 ნაწილი;

<https://matsne.gov.ge> (უკანასკნელად გადამოწმებულია 20/04/2019)

დაუშვებელია. თუმცა, პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც პირი თავად აწვდის საგამომძიებო ორგანოებს ინფორმაციას საქმის გარემოებების შესახებ, რაც არ წარმოადგენს დაკითხვას და არც არის აუცილებელი მისთვის უფლებების განმარტება. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს უფლებების დარღვევა და ასეთი მტკიცებულება უნდა იყოს საქმეზე დასაშვები.

არაერთ იურიდიულ ლიტერატურაში არის გამოწვევის სადაც დასაშვებია ბრალდებულისთვის უფლებების განმარტების გარეშე მღებელი ჩვენები. ასეთი გამოწვევისია მაგალითად ის, რომ პირმა განმარტების გარეშე იცოდა მისი უფლებები - „თუ ბრალდებულმა, რომელსაც უფლებები დაკითხვის წინ არ განუმარტეს, იცოდა, რომ აქვს დუმილის უფლება და იგი მაინც იძლევა ჩვენებას, არ უნდა გავრცელდეს მასზე კანონის მოთხოვნა იგივენაირად, როგორც თავისი უფლებების უცოდინარი ბრალდებულის შემთხვევაში.“¹⁰⁶

შემდეგ გამოწვევის წარმოადგენს ისეთი სახის შემთხვევა, სადაც ბრალდებული და მისი ადვოკატი არ არიან წინააღმდეგნი, რომ სასამართლოში გამოყენებული იყოს ისეთი სახის ჩვენება, რომლის მიცემის დროსაც ბრალდებულს არ განუმარტეს უფლებები. გარდა ამისა, არის შემთხვევები, როდესაც ბრალდებულს არ განუმარტავენ ადვოკატის ყოლის უფლებას, რაც შემდგომში მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობას იწვევს.

იმიტომ, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 ნაწილის და სსსკ-ს 38-ე მუხლის მე-5 ნაწილზე დაყრდნობით დაუშვებელია ბრალდებულისათვის ადვოკატის აყვანისა და ადვოკატთან კონსულტაციის გავლის შეზღუდვა - „შესაბამისად, ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც მოპოვებულია დაცვის-უფლებაშეზღუდული ბრალდებულისგან, წარმოადგენს დაუშვებელ მტკიცებულებას და არ შეიძლება ისინი მოსამართლემ საფუძვლად დაუდოს თავის გადაწყვეტილებას.“¹⁰⁷

რაც შეეხება მონმის ჩვენებას, მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სსსკ-ს 115-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმადაც, მოსამართლემ უნდა განუმარტოს

¹⁰⁶ თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014, გვ. 260.

¹⁰⁷ თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014, გვ. 262.

უფლება-მოვალეობები იმ პირს, რომელიც სასამართლოში გამოდის მოწმის სახით, რადგან მისი განუმარტაობა იწვევს მოწმის ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას.

მტკიცებულებათა დასაშვებობაზე რეგულაციას არა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობა ახდენს, მას არეგულირებს ასევე საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულაციები. ეს საერთაშორისო რეგულაციებია: „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“, „კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ“, „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება“, „საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, „მალიორკისა და ტოლედოს 1992 წლის წესები“.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციაში მე-6 მუხლი ეთმობა სამართლიანი სასამართლოს უფლებას, რომელიც მინიჭებული აქვს ბრალდებულს. აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვმსჯელოთ იმაზე, რომ ბრალდებულს შეუძლია გაასაჩივროს მოსამართლის მიერ იმ მტკიცებულებების დაშვება, რომელიც მოპოვებულია კანონის დარღვევით, ვინაიდან სასამართლოს ეს მოქმედება შეუსაბამოა კონვენციით გათვალისწინებულ უფლებასთან - „სამართლიან სასამართლოზე“.¹⁰⁸

რაც შეეხება „კონვენციას წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ“, საქართველოს პარლამენტის დადგენილებით იგი აღიარეს და ძალაში შევიდა 1994 წლის 25 ნოემბრიდან. კონვენციის მე-15 მუხლი ითვალისწინებს მტკიცებულებათა დაუშვებლობას და განმარტავს: „ყოველი მონაწილე სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერი განცხადება, რომელიც, როგორც დადგინდა, გაკეთებული იყო წამების შედეგად, არ იქნეს გამოყენებული მტკიცებულებად ნებისმიერი სასამართლოს გარჩევის დროს.“

¹⁰⁸ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 1950, მუხ. 6;
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>

გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი გამოიყენება იმ პირის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალად ედება წამება, როგორც იმის მტკიცება, რომ ეს განცხადება გაკეთდა“.¹⁰⁹

განხილული კონვენციების მსგავსად, „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება“, შეიცავს ისეთ ნორმებს, რომელიც ეხება მტკიცებულებათა დასასშვებობას. კერძოდ კი, სტატუტის 69-ე მუხლის მე-7 პუნქტი განსაზღვრავს, რომ თუ მტკიცებულება მოპოვებულია საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებების დარღვევით, იგი იმ შემთხვევაში უნდა იქნეს დაუშვებლად ცნობილი, თუ: „(ა) დარღვევა წარმოშობს სერიოზულ ეჭვს მტკიცებულების უტყუარობის თაობაზე; ან (ბ) მტკიცებულების დაშვება პირდაპირ ეწინააღმდეგება და სერიოზულ ზიანს მიაყენებს განხილვის კეთილსინდისიერად წარმართვას.“¹¹⁰

განხილული ნორმიდან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის მნიშვნელოვანი წინააპირობაა ასევე ადამიანის უფლებების შელახვა. აღნიშნული კონვენციების და წესდების მსგავსად, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ ითვალისწინებს ისეთ ნორმებს, რომელთა დარღვევაც წარმოშობს მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობას.

მაგალითისთვის მოვიყვანოთ პაქტის მე-14 მუხლის 3-ე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი, რომელიც ბრალდებულს უფლებას ანიჭებს - „დაკითხონ მოწმეები, რომლებიც მის წინააღმდეგ აძლევენ ჩვენებას, ან ჰქონდეს უფლება, რომ ეს მოწმეები სხვამ დაკითხოს, ასევე გამოიძახონ და დაკითხონ მისი მოწმენი იმავე პირობით, როგორც მის წინააღმდეგ გამოსული მოწმეები“.¹¹¹ ამ უფლების საფუძველზე მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს, რომ მოწმეებისგან მოპოვებული ინფორმაცია, რომელიც

¹⁰⁹ კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ, 1975 წლის 9 დეკემბერი, მე-15 მუხლი;
<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi30.pdf>

¹¹⁰ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება, 1998, 69-ე მუხლის მე-7 პუნქტი.
<https://www.legal-tools.org/doc/8afbd3/pdf/>

¹¹¹ საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 1966, მე-14 მუხლის 3-ე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი;
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0>

არღვევს აღნიშნულ უფლებას, მხედველობაში არ მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილებისას.

ბოლოს კი განვიხილოთ „მალიორკისა და ტოლედოს 1992 წლის წესები“, რომელიც ეხება დაუშვებელ მტკიცებულებებს ადვოკატისა და ბრალდებულის უფლებებიდან გამომდინარე.¹¹² იგი ადგენს მტკიცებულებათა დასაშვებობისათვის ზოგად წესს, რომელიც მოცემულია 33.2 წესში: „ის მტკიცებულება, რომელიც უშუალოდ ან შუალობით პირის ფუნდამენტური უფლებების ხელყოფას ეფუძვნება, დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იქნეს ცნობილი. აღნიშნული მოთხოვნის უგულველყოფით მიღებული სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, რომლებიც ასეთ მტკიცებულებებს ეფუძვნებიან“.¹¹³ განხილული წესისთვის დამახასიათებელია ის, რომ კონსტიტუციური უფლებების დარღვევა იწვევს მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობას, რასაც საქართველოს კანონმდებლობაც ითვალისწინებს.

ზემოაღნიშნული საკითხებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, მტკიცებულებათა დასაშვებობის უპირველესი წინაპირობაა, რომ იგი იყოს კანონის დაცვით მოპოვებული. ამასთანავე, ყოველთვის უნდა შემოწმდეს მისი მოპოვებით ხომ არ დარღვეულა პროცესის მონაწილის კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებით და სხვა კანონქვემდებარე აქტებით მინიჭებული უფლებები.

¹¹² იხ. bradley, C. M.: The Emerging International Consensus as to Criminal Procedure Rules, 14 Michigan Journal of International Law, p. 171, 1993;

¹¹³ თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014, გვ. 319-320.

2.4. ცალკეული სახის მტკიცებულების დასაშვებობის პრობლემები

„მონამლული ხის ნაყოფის“ თეორია - ეხება მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხს სისხლის სამართლის პროცესში. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი ითვალისწინებს „მონამლული ხის ნაყოფის“ დოქტრინას.

კერძოდ, სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ მტკიცებულება, რომელიც მოპოვებულ იქნა სხვა უკანონო მტკიცებულების საფუძველზე, ამასთანავე აუარესებს ბრალდებულის მდგომარეობას, ასეთი მტკიცებულება დაუშვებელია.¹¹⁴ ამ შემთხვევაში არ ხდება იმის გათვალისწინება, რომ მტკიცებულება კანონიერი გზით არის მოპოვებული, რადგან მას საფუძველად უკანონო მტკიცებულება უდევს.

ტერმინი „მონამლული ხის ნაყოფი“ (fruit of the poisonous tree doctrine) მომდინარეობს ბიბლიიდან. უფრო ზუსტად კი, მათეს სახარების მე-7 თავში ნახსენებია: „ცრუ წინასწარმეტყველი ნაყოფით იცნობა“, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა ასეთი თეორია: „თუ მტკიცებულების წყარო („ხე“) უკანონოა, მისგან მომდინარე ნებისმიერი ინფორმაცია („ნაყოფი“) ასევე უკანონო იქნება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მონამლული ხე (თავდაპირველი მტკიცებულება) და მონამლული ხის ნაყოფი (მოგვიანებით მოპოვებული მტკიცებულება) - ორივე უნდა გამოირიცხოს სისხლის სამართლის საქმიდან“.¹¹⁵

¹¹⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, 72-ე მუხლის პირველი ნაწ.;

¹¹⁵ ჩხეიძე ი., მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010, გვ. 70.

„მონამლული ხის ნაყოფის“ მეტაფორა 1939 წელს გადაწყვეტილების დასაბუთებისას გამოიყენა აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ, ფელიქს ფრანკფურტერმა. აღნიშნული საქმე „Nardone v. United states“ ეხებოდა ფრენკ ნარდონს, რომელიც აშშ-ს პირველი ინსტანციის სასამართლომ დამნაშავედ ცნო იგი - კონტრაბანდასა და ალკოჰოლურ ნივთიერების დამალვაში. ბრალდებულმა ეს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, რადგან ბრალდება ემყარებოდა ისეთ მტკიცებულებას, რომელიც მოპოვებული იყო უკანონო სატელეფონო საუბრის მოსმენისას. ასეთი სახის მტკიცებულება ეწინააღმდეგებოდა 1934 წელს მიღებულ კანონს კომუნიკაციების შესახებ. სააპელაციო სასამართლომ გააუქმა აღნიშნული გადაწყვეტილება და ეს მოხდა „მონამლული ხის ნაყოფის“ თეორიის საფუძველზე.¹¹⁶

თუმცა, აღსანიშნავია, რომ „მონამლული ხის ნაყოფის“ თეორია, როგორც მტკიცებულებათა გამორიცხვის მეთოდი, პირველად აშშ-ში 1914 წელს იქნა გამოყენებული, კერძოდ, იგი აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ საქმეზე „Weeks v. United states“ გამოიყენა. აღნიშნული საქმე ეხებოდა კონსტიტუციის მეოთხე შესწორების დარღვევას, რომელიც ფედერალურმა აგენტმა დაარღვია, რაც გამოიხატა იმაში, რომ მტკიცებულებები მოიპოვა პირადი კორესპონდენციის დარღვევით.¹¹⁷ ამაზე კი უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ უკანონოდ მოპოვებულ მტკიცებულებაზე არ უნდა იყოს აგებული ბრალდება. „მოგვიანებით მოქმედების ფარგლები გაფართოვდა და იგი უკანონო ინფორმაციის საფუძველზე მოპოვებულ მტკიცებულებაზედაც გავრცელდა“.¹¹⁸

მართალია, აშშ-ში მოქმედებს ზემოხსენებული „მონამლული ხის ნაყოფის“ თეორია, მაგრამ მასთან ერთად, სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, ჩამოყალიბდა გამონაკლისები, რომელიც გარკვეულ შემთხვევაში ასეთი სახით

¹¹⁶ Nardone v. United States, 308 U.S. 338 (1939)

<https://supreme.justia.com/cases/federal/us/308/338/>

¹¹⁷ Weeks v. United states, 232 U.S. 383 (1914)

<https://supreme.justia.com/cases/federal/us/232/383/>

¹¹⁸ ჩხეიძე ი., მტკიცებულებათა დასასველობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010 გვ. 70.

მოპოვებულ მტკიცებულებებს დასაშვებს ხდის. ამ გამონაკლისების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო იმან, რომ ხშირად რთული დასადგენია კანონდარღვევით მოპოვებულმა მტკიცებულებამ რატომ უნდა გამოიწვიოს სხვა მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა.

პირველ საგამონაკლისო შემთხვევას წარმოადგენს „დამოუკიდებელი წყაროს გამონაკლისი“, იგივე – „independent source exception“. ¹¹⁹მასში მოიაზრება ისეთი სახის მტკიცებულებები, რომელიც ეფუძნება არა არსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს, არამედ სხვა დამოუკიდებელ წყაროს. ამგვარად, როდესაც მტკიცებულებათა მოპოვება სხვა დამოუკიდებელი წყაროდან არის შესაძლებელი, „მონამლული ხის ნაყოფის“ დოქტრინა ვერ გამოირიცხავს მას პროცესიდან, რადგან სხვა წყაროდან მოპოვებულ მტკიცებულებასა და კანონის არსებითი დაღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს შორის მიზგობრივი კავშირი არ არსებობს, იმიტომ, რომ ისედაც შესაძლებელია მათი მოპოვება სხვა დამოუკიდებელი წყაროს მეშვეობით.¹²⁰

გამომდინარე აქედან, მტკიცებულებათა შეფასებისას უნდა დადგინდეს, არის თუ არა კავშირი იმ საგამოძიებო მოქმედებას (რომელიც გნხორციელდა კანონის დაცვით) და უკანონოდ მოპოვებულ მტკიცებულებას შორის. ამასთან დაკავშირებით გამოთქმულია ასევე მოსაზრება, რომ დამოუკიდებელი წყაროთი მოპოვებული კანონიერი მტკიცებულება დროში უნდა უსწრებდეს ან ემთხვეოდეს იმავე მტკიცებულების მოსაპოვებლად განხორციელებულ უკანონო საგამოძიებო მოქმედებებს.¹²¹

ამის თვალსაჩინო მაგალითია ერთ-ერთი გახმაურებული სისხლის სამართლის საქმე – State v. O’Bremski, რომელიც ეხება 14 წლის გატაცებულ გოგონას, რომელიც უკანონო ჩხრეკის შედეგად აღმოაჩინეს ბინაში (სექსუალურად მოძალადის).

¹²²ბრალდებული დამნაშავედ ცნო სასამართლომ ამ გოგონას ჩვენების საფუძველზე.

¹¹⁹ თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2004, გვ. 302.

¹²⁰ იქვე;

¹²¹ იქვე, გვ. 303;

¹²² State v. O’BREMSKI 70 Wn.2d 425 (1967), 423 P.2d 530. The Supreme Court of Washington, Department One.

აღნიშნული ჩვენება იმიტომ დაუშვა მტკიცებულებად სასამართლომ, რომ უკანონო ჩხრეკის გარეშე იცოდა პოლიციამ გოგონას ადგილსამყოფელი ინფორმატორისგან ანუ დამოუკიდებელი წყაროსგან.¹²³

შემდეგ გამონაკლისს წარმოადგენს - „inevitable discovery exception“ ანუ მტკიცებულების გარდაუვლად აღმოჩენის გამონაკლისი, რომელიც ახლოს არის თავისი მნიშვნელობით „დამოუკიდებელი წყაროს გამონაკლისთან“.¹²⁴ მას ასევე უწოდებენ - „ფიპოთეტურად დამოუკიდებელ წყაროს წესს“, რაც გულისხმობს იმას, რომ: „როდესაც მტკიცებულება მოპოვებულ იქნა კანონის არსებითი დარღვევით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ასეთი მტკიცებულების დასაშვებობას ვერ შეზღუდავს „მონამლული ხის ნაყოფის დოქტრინა“, თუკი იმავე მტკიცებულების მოპოვება შესაძლებელი იყო ასევე კანონიერი გზებითაც.“¹²⁵

აღნიშნული გამონაკლისის თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ საქმე-„Soto v. New York“, საქმე ეხება იმას, რომ პირი უფლებების განმარტების გარეშე დაკითხეს და მან აღიარა, თუ სად მალავდა დანაშაულის იარაღს. ეს ადგილი იყო საფოსტო ყუთი, რომელსაც ადრე თუ გვიან ნახავდა ფოსტალიონი.¹²⁶ სწორედ ამიტომ, „application of common sense“ ანუ „სალი აზრის გამოყენებით“ მოსამართლემ ამოღებული მტკიცებულებები დასაშვებად სცნო.¹²⁷

გამონაკლისს შემთხვევას წარმოადგენს ასევე - „purged taint exception“ ანუ გამოსწორებული ნაკლის გამონაკლისი.¹²⁸ მას ასევე „შესუსტებული მიზეზობრივი კავშირის“ (attenuated connection) სახელითაც იცნობენ, რომლის არსი მდგომარეობს შემდეგში: „მტკიცებულების მოპოვებასა და კანონდარღვევით განხორციელებულ საგამომძიებო მოქმედებას შორის მართალია მიზეზობრიობა დგინდება, მაგრამ

<https://law.justia.com/cases/washington/supreme-court/1967/38820-1.html>

¹²³ თუმანიშვილი გ., სისხლისსამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2004, გვ. 303-304;

¹²⁴ იქვე, გვ. 305;

¹²⁵ იქვე;

¹²⁶ Soto v. New York (1:15-cv-07032), District Court .S.D New York

<https://www.courtlistener.com/docket/4355764/soto-v-city-of-new-york/>

¹²⁷ თუმანიშვილი გ., სისხლისსამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2004 გვ. 305-306;

¹²⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, გვ. 247.

მტკიცებულების მოპოვებას შორის არსებული მიზგობრივი კავშირი სხვა დამატებითი ფაქტორის გამო იმდენად შესუსტდა, რომ მანამდე არსებული ხარვეზების დანაკლოვანებების გამოსწორება (განწმენდა) მოხდა.¹²⁹

საბოლოო გამონაკლის წარმოადგენს კეთილსინდისიერების გამონაკლისი - „good faith exception“.¹³⁰ ამ გამონაკლის საფუძველი დაედო 1984 წლის გადაწყვეტილების შედეგად, საქმეზე „ლეონი“, სადაც „გადაწყვეტილების თანახმად, უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულება შესაძლოა დასაშვებ მტკიცებულებად იქნეს ცნობილი, ვინაიდან პოლიცია კეთილსინდისიერად მოქმედებდა და ეჭვი არ ეპარებოდა სასამართლოს მიერ გაცემული ჩხრეკის ნებართვის კანონიერებაში“.¹³¹ ანუ თუ პოლიციელი კეთილსინდისიერად მოქმედებდა მტკიცებულების მოპოვებისას მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ უსაფუძვლოდ გასცა ჩხრეკის ნებართვა ასეთი სახის მტკიცებულება დასაშვებია.

ამ გამონაკლისის არსი იმაში მდგომარეობს, რომ გამოძიების მწარმოებელი პირი კი არ უნდა მოქმედებდეს კანონსაწინააღმდეგოდ, არამედ თვითონ ნებართვის გამცემი სასამართლო. აღნიშნული გამო, კეთილსინდისიერების გამონაკლისს ბევრი სამართლებრივი ლიტერატურა აკრიტიკებს, რადგან ამით ხარვეზი ექმნება სასამართლოს და ჩნდება საფრთხე, რომ „მოსამართლის მიერ გაცემული ნებართვის საფუძვლიანობა (საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებასთან დაკავშირებით) მხოლოდ ზედაპირულად შემოწმდება, ვინაიდან, როგორც პოლიციამ, ისე მოსამართლემ იცის, რომ ხარვეზის არსებობის შემთხვევაშიც იგი მაინც ვარგისად ჩაითვლება“.¹³²

რაც შეეხება საქართველოს კანონმდებლობას, განსხვავებით აშშ-სგან, განხილული დოქტრინა, მართალია, გვხვდება ქართულ სისხლის სამართლის პროცესშიც, მაგრამ არა საგამონაკლისო შემთხვევებით. გამომდინარე იქიდან, რომ ამერიკაში ამ დოქტრინას არ გააჩნია საკანონმდებლო რეგლამენტაცია, მოსამართლეს უფლება აქვს გამოიყენოს ზემოდ ხსენებული გამონაკლისები საქმის

¹²⁹ თუმანიშვილი გ., სისხლისსამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014, გვ. 308;

¹³⁰ იქვე, გვ. 309-310;

¹³¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, გვ. 248;

¹³² თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2004, გვ. 311.

ინდივიდუალური შემთხვევების განხილვისას, ხოლო საქართველოში მოსამართლე იბლუდება იმაში, რომ „მონამლული ხის ნაყოფის“ დოქტრინიდან გამომდინარე, განსახილველ საქმეში დაუშვას გამონაკლისები.

ამ შეზღუდვას ახდენს ის ნორმა, რომელიც მოცემულია სსსკ-ს 72-ე მუხლის პირველ ნაწილში, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებასა და შემდგომში კანონიერად მოპოვებულ მტკიცებულებას შორის მიზეზობრივი კავშირი აღარ არსებობს ან თუნდაც უმნიშვნელოდ შესუსტდა. ამ შემთხვევაში შეუსაბამო არ უნდა იყოს აღნიშნულ მუხლთან დამოუკიდებელი წყაროს და განწმენდილის ნაკლის გამონაკლისის გამოყენება.

ირიბი ჩვენების მტკიცებულებად გამოყენების თავისებურებები - პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც მონმე იძლევა ისეთი სახის ინფორმაციას, რომელიც მოიპოვა სხვა პირისგან ან სხვა წყაროებიდან. ასეთი ჩვენება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში „ირიბი ჩვენების“ სახელწოდებით არის მოხსენიებული.

კერძოდ, სსსკ-ს 76-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ირიბია მონმის ის ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას“.¹³³ აქედან გამომდინარე, გამოგვაქვს დასკვნა - „მაშასადამე, მონმეს საკუთარი თვალით არ უნდა ჰქონდეს დანახული ან სხვაგვარად უშუალოდ აღქმული ის გარემოება, რომლის შესახებაც იგი იძლევა ჩვენებას“¹³⁴. როდესაც პირი ირიბ ჩვენებას იძლევა, იმას არ ნიშნავს, რომ იგი უდავოდ დასაშვებია, კანონმდებელი მის დასაშვებობისთვის მთელ რიგ წინაპირობებს აყენებს: „სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ

¹³³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, 76-ე მუხლის პირველი ნაწილი; <https://matsne.gov.ge> (უკანასკნელად გადამოწმებულია 10/05/2019)

¹³⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული შურნალი, #1(53)17, „მართლმსაჯულება და კანონი“, გვ. 31.

არის ირიბი ჩვენება¹³⁵, ხოლო გამოძიების ეტაპზე ასეთი ჩვენება იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ პირი ისეთ წყაროს უთითებს, რომლის შემონმებაც შესაძლებელია.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს ირიბ ჩვენებას. ასეთ ჩვენებას, როგორც წესი, მაშინ იყენებენ, როდესაც სხვადასხვა მიზეზების გამო მონმე ვერ ცხადდება სასამართლოში, თუმცა მიზეზი ცნობილია სასამართლოსთვის. უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ყურადღებას აქცევენ ასევე კონვენციის მე-6 მუხლის პირველი და მე-3(დ) პუნქტებს, რომლის თანახმადაც, ბრალდებულს სახელმწიფომ უნდა მისცეს საშუალება, შეამონმოს იმ მონმეების ჩვენებები, რომელმაც მის წინააღმდეგ მისცეს ჩვენება.¹³⁶

ხშირად, ირიბ ჩვენებასა და ამ ინფორმაციის წყაროს შორის ისეთი შუალედური რგოლი არსებობს, სადაც მონმე ინფორმაციას იღებს მესამე და მეორე პირისგან. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, უფრო სუსტდება ასეთი სახის ინფორმაციის მტკიცებულებითი ხარისხი. გარდა ამისა, მონმის ჩვენება შეიძლება ანონიმური ან ოპერატიული ინფორმაციიდან მომდინარეობდეს. განსხვავებით ანონიმური ინფორმაციისგან, ოპერატიული ინფორმაციის შემთხვევაში მართალია წყაროს საჯაროდ დასახელება არ ხდება, მაგრამ იგი იციან კანონით განსაზღვრულმა პირებმა.

ორივე შემთხვევაში დაუშვებელია ანონიმურ და ოპერატიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაიწყოს სისხლისამართლებრივი დევნა პირის მიმართ. ამასთან დაკავშირებით შეგვიძლია მოვიყვანოთ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საქმეზე N 1/-555-12, რომელშიც არ იქნა დაკმაყოფილებული სააპელაციო საჩივარი და პალატამ განმარტა, რომ „იმისდა მიხედვით, ცნობილია თუ არა წყარო, ინფორმაცია შესაძლებელია იყოს ანონიმური და ოპერატიული. ოპერატიული ინფორმაცია არის ინფორმაცია, რომელიც ძირითადად პოლიციისთვის მიწოდებულია პოლიციის კონფიდენციალური თანამშრომლების (კონფიდენტების)

¹³⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, 76 მუხლი, მე-3 ნაწილი; <https://matsne.gov.ge> (უკანასკნელად გადამონმებულია 10/05/2019)

¹³⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული შურნალი, „მართლმსაჯულება და კანონი“, #1(53)'17, გვ. 33.

მიერ¹³⁷, ასევე იქვე ვკითხულობთ, რომ „განსხვავებით ანონიმური ინფორმაციისგან, ოპერატიული ინფორმაციის წყარო ცნობილია კანონით ზუსტად განსაზღვრული პირებისათვის, მაგრამ დაუშვებელია წყაროს საჯაროდ დასახელება“.¹³⁸

ირიბი ჩვენების დასაშვებობაზე როდესაც ვსაუბრობთ, აუცილებელია, ცნობილი იყოს ინფორმაციის წყარო, რომლის შემონახვაც შესაძლებელია.¹³⁹ იმიტომ, რომ პირველწყაროს ცოდნის შემთხვევაში დადგინდება თუ იცოდა საერთოდ პირველწყარომ მითითებული ინფორმაციის შესახებ, შეუძლია თუ არა სწორად აღიქვას ფაქტები და გადმოსცეს, არის თუ არა იგი მიკერძოებული, ეს ინფორმაცია მოწმემ მართლა მიიღო თუ არა პირველწყაროდან თუ შეგნებულად იტყუება, მოწინააღმდეგე მხარეს შესაძლებლობა აქვს, რომ დაკითხოს, გამოიკვლიოს პირველწყარო და სადავო გახადოს ჩვენება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ირიბი ჩვენების მტკიცებულებად გამოყენებისათვის საპროცესო კოდექსი ადგენს ორ წინაპირობას, რომლის არსებობის შემთხვევაშიც ჩვენებას ეძლევა მტკიცებულებითი ძალა. ესენია: „1. მოწმემ სახელდობრ უნდა მიუთითოს პირველწყარო, რომ შესაძლებელი იყოს საჭიროების შემთხვევაში მისი დაკითხვა; 2. აღნიშნული ინფორმაცია უნდა დასტურდებოდეს საქმეში არსებული ნებისმიერი სხვა მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება-აღნიშნული ჩვენება შესაძლებელია დასტურდებოდეს ნებისმიერი სხვა მტკიცებულებით რომელთა წრე განუსაზღვრელია“.¹⁴⁰ მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი გამოყენება ამ წინაპირობების გარეშე არ შეიძლება გამოძიების სტადიაზე.

პირველწყაროს და სხვა მტკიცებულების მითითება სავალდებულოა მხოლოდ სასამართლოში, არსებითი განხილვის დროს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ირიბი ჩვენების დროს ხდება წყაროს მითითება ეს მაინც არ გამოირიცხავს რისკებს მისი სანდოობის შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით, ყურადღება საკონსტიტუციო სასამართლომ გაამხავილა და საქმეზე N1/1/548 თქვა, რომ „ირიბი ჩვენების მიმცემ

¹³⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინი საქმეზე N1/ბ-555-12,07/11/2012;

¹³⁸ იხ. იქვე;

¹³⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, 76-ე მუხლის მეორე ნაწილი. <https://matsne.gov.ge> (უკანასკნელად გადამოწმებულია 10/05/2019)

¹⁴⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, გვ. 266;

პირს არ შეუძლია დაადასტუროს, თუ რამდენად უტყუარია სხვა პირის მიერ გავრცელებული ინფორმაცია. ირიბი ჩვენების მიმცემი პირის მიერ ინფორმაციის წყაროს მითითება, თავისთავად, არ გამოორიცხავს შესაძლებლობას, რომ პირი, ვის ინფორმაციასაც ირიბი ჩვენება ეფუძნება, ასევე არ იყოს იმ ფაქტის თვითმხილველი, რომლის დადასტურებასაც ირიბი ჩვენება ისახავს მიზნად¹⁴¹.

სწორედ ამიტომ, ირიბი ჩვენების გამოყენება ბრალის დადგენილების დასაბუთებისთვის და ამასთანავე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის არაკონსტიტუციურად ცნო საკონსტიტუციო სასამართლომ.

განხილულიდან გამომდინარე თვალსაჩინოა, რომ ირიბი ჩვენებას ახასიათებს მთელი რიგი რისკები და ამის აღმოსაფხვრელად აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მისი დასაშვებობის წინაპირობები.

მტკიცებულებათა ასიმეტრია - სისხლის სამართლის პროცესში დაცვის და ბრალდების მხარეს განსხვავებული უფლებები და ვალდებულებები აქვთ, თუმცა, ორივე მხარის მტკიცებულებებისათვის ერთი სამართლებრივი რეჟიმი არსებობს.

მართალია, კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებელი მტკიცებულებაა, მაგრამ არსებობს საკითხი მათი დასაშვებობის შესახებ, რომლესაც ასიმეტრიის წესად მოიხსენიებენ. პირველ რიგში განვმარტოთ, თუ რას ნიშნავს სიტყვა - „ასიმეტრია“. იგი „სიმეტრიის“ ანტონიმია, რაც ნიშნავს სიმეტრიის უქონლობას ან დარღვევას¹⁴² ანუ „საქმე გარკვეული წესის, დადგენილი, თანაბრობის დარღვევასთან გვაქვს“¹⁴³. მტკიცებულებათა ასიმეტრიის წესში კი გულისხმობენ იმას, რომ დაცვის მხარეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა იმისა, რომ ბრალდების მიერ კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენოს.¹⁴⁴

ამ მოსაზრებას იმით ამტკიცებენ, რომ დაცვის მხარე არ უნდა იყოს ვალდებული, ბრალდების მხარის მიერ დაშვებული შეცდომებისათვის აგოს პასუხი - „დაცვის

¹⁴¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე N1/1/548, გვ. 31.

¹⁴² ჩხეიძე ი. მტკიცებულებათა დასასველობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010, გვ. 62;

¹⁴³ იბ. იქვე, გვ. 63;

¹⁴⁴ იქვე;

მხარის ბრალი არ არის რომ გამომძიებელმა მტკიცებულება კანონიერი გზით ვერ მოიპოვა“.¹⁴⁵

ასიმეტრიის წესის საპროცესო გამოყენებისას ვხვდებით ისეთ წინააღმდეგობას, რომელიც ეხება მხარეთა შეჭიბრებითობის და თანასწორობის პრინციპს. მართალია, „დაცვის მხარე ვალდებული არ არის უზრუნველყოს საპროცესო კანონმდებლობის დაცვა, მაგრამ ეს მას პრივილეგირებულ მდგომარეობაში სულაც არ აყენებს“¹⁴⁶, ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, პროცესში მხოლოდ ისეთი სახის მტკიცებულებები დაიშვება, რომელიც კანონის სრული დაცვით არის მოპოვებული.

ამიტომ, გაუმართლებელია ის საკითხი, რომ რომელიმე მხარეს შეიძლება დაუნესდეს რაიმე შეღავათი. ამ მხრივ ასიმეტრიის წესის გათვალისწინება დაუშვებელია. ამ თვალსაზრისით, მტკიცებულებათა ასიმეტრიის წესი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული, როდესაც სახეზე არ გვაქვს კანონის მნიშვნელოვანი დარღვევა და მისი გამოყენებით სისხლის სამართლის საქმეში არ მოხდება ხელის შეშლა ჭეშმარიტების დადგენაში.

ამისათვის კი საჭიროა, რომ ასიმეტრიის წესის დაშვებისათვის, სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, შემუშავდეს მისი დასაშვებობის წინაპირობები. მაგალითად: „1. არ უნდა დაიღვეს დაცვის მხარის უფლებები, კერძოდ, არ უნდა შეიზღუდოს დაცვის უფლების განხორციელება, და 2. შესაძლებელი უნდა იყოს ინფორმაციის უტყუარობის უზრუნველყოფა“.¹⁴⁷

განხილული საკითხიდან გამომდინარე, შეგვიძლია დასაშვებად მივიჩნიოთ ასიმეტრიის გამოყენება სისხლის სამართლის საქმეში, თუ იგი მნიშვნელოვნად არ არღვევს შეჭიბრებითობის პრინციპს და ხელს არ უშლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

¹⁴⁵ ხარაზიშვილი ბ., მტკიცებითი სამართალი (ნარკვევები), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1982, გვ. 65;

¹⁴⁶ ჩხეიძე ი., მტკიცებულებათა დასასველობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010, გვ. 64.

¹⁴⁷ ი. ჩხეიძე, მტკიცებულებათა დასასველობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010, გვ. 66.

თავი III. კვლევის შედეგები

სისხლის სამართალწარმოებაში მტკიცებულებათა დასაშვებობის პროცესუალური ასპექტების კვლევისას დადგინდა, რომ საქართველოს კანონმდებლობა იზიარებს საერთაშორისოდ დადგენილ სტანდარტებს. თუმცა, კონკრეტული საკითხების განხილვისას წარმოიშვა სხვადასხვა წინააღმდეგობები და პრობლემები, რომელთა დეტალური გამოკვლევა გახდა საჭირო.

მტკიცებულებათა შესწავლისას, პირველ რიგში, საჭირო გახდა შეგვესწავლა მისი წარმოშობის და განვითარების ისტორია, შემდეგ კი ყურადღება გაგვემახვილებინა და გამოგვეყო მტკიცებულებათა სახეები, მათ ნიშან-თვისებებთან ერთად. ამის შედეგად დადგინდა, რომ ჯერ კიდევ ძველ ეპოქაში სხვადასხვა კულტურის ხალხში, სხვადასხვა სახის მტკიცებულებები გამოიყენებოდა.

რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის პროცესს, იგი იცნობს შემდეგი სახის მტკიცებულებებს - ბრალდებულის ჩვენება, მონმის ჩვენება, ნივთიერი მტკიცებულება, დოკუმენტი. ამასთანავე, ნაშრომში მოვიყვანეთ სხვა ქვეყნის კანონმდებლობის მაგალითები, რომლებიც იზიარებენ ასეთი სახის მტკიცებულებებს. ერთ-ერთი ასეთი მაგალითი იყო აშშ-ს კანონმდებლობა, სადაც ისევე გამოიყენება მონმის ჩვენება და ექსპერტის დასკვნა, როგორც ამას საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს. ასევე, აშშ-ს კანონმდებლობაში დოკუმენტური მტკიცებულება განმარტებულია მსგავსად საქართველოს კანონმდებლობისა.

საქართველოს კანონმდებლობა იცნობს და იზიარებს „მონამლული ხის ნაყოფის თეორიას“ , რომელიც აშშ-ს კანონმდებლობიდან იღებს სათავეს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ადგილობრივი კანონმდებლობა არ იზიარებს მონამლული ხის ნაყოფის საგამონაკლისო შემთხვევებს. ეს საგამონაკლისო შემთხვევები არის - დამოუკიდებელი წყაროს გამონაკლისი, მტკიცებულების გარდაუვლად აღმოჩენის გამონაკლისი, გამოსწორებული ნაკლის გამონაკლისი, კეთილსინდისიერების გამონაკლისი. აღნიშნული დასკვნა გამოვიტანეთ აშშ-ს სასამართლო პრაქტიკის გაცნობისას, რადგან ამ დოქტრინას მათთან არ ავს საკანონმდებლო რეგლამენტაცია და მისი გამოყენება მოსამართლის პრეროგატივაა. ხოლო, ქართულ კანონმდებლობაში ამ შეზღუდვას მოსამართლეს სსსკ-ს 72-ე მუხლი უწესებს. განხილული თეორია დაგვეხმარა გაგვეანალიზებინა თუ რა შემთხვევებში ხდება მტკიცებულებათა დასაშვებობა ან დაუშვებლად ცნობა.

აღნიშნული კვლევისას ასევე გამოიკვეთა, რომ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში საჭიროა კანონით დადგენილი სტანდარტების დაცვა, რათა

მტკიცებულება გახდეს სისხლის სამართლის საქმეზე დასაშვები. ამიტომ, განვიხილეთ მტკიცებითი სტანდარტების თითოეული სახე - დასაბუთებული ვარაუდი, ალბათობის მაღალი ხარისხი, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი. იმისათვის, რომ მათი მიზანშეწონილობა შეგვეფასებინა მტკიცებულებათა დასაშვებობასთან მიმართებაში, საჭირო გახდა მოქმედი კანონმდებლობა შეგვედარებინა 1998 წლის სისხლის სამართალთან, რის შედეგადაც გამოიკვეთა ის ცვლილებები, რომელთა მეშვეობით დაიხვეწა სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებითი სტანდარტები.

იმ სტანდარტების დანესებით, რომელიც განსაზღვრავს მტკიცებულების დასაშვებობას სისხლის სამართლის საქმეზე უზრუნველყოფს შეჯიბრებითობისა და სამართლიანი სასამართლოს პრინციპს. გარდა ამისა, განვიხილეთ და გამოვიკვლით სასამართლო პრაქტიკები, რომელმაც თვალსაჩინო გახადა თვ როგორ ხდება პრაქტიკაში მტკიცებულებათა მოპოვება, გამოკვლევა და შემდეგ მისი შეფასება სისხლის სამართლის საქმისათვის. ნაშრომში მოუვანილია როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო საქმეები, რომელიც კონკრეტული საკითხების განხილვისას დაგვეხმარა, ესენია- საქმე N134აპ-14, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N1/1/54, „Nardone v. United States, 308 U.S 338 (1939)“, და ა.შ.

კვლევის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ „მტკიცებულებათა დასაშვებობის პროცესუალური ასპექტები სისხლის სამართალწარმოებაში“ როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო სისხლის სამართალში არის განვითარებადი საკითხი და დღემდე არ კარგავს აქტუალურობას. ამის გამომწვევი მიზეზი არის ის, რომ მას დადებით მხარეებთან ერთად აქვს უარყოფითი მხარეები რომელსაც დახვეწა და გამოსწორება სჭირდება. თვითონ მტკიცებულება კი როგორც საქართველოს, ისე მსოფლიო ქვეყნების სიმდიდრეა, რადგან მის გარეშე შეუძლებელია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა.

დასკვნა

ჩატარებული კვლევისას, ნათელი გახდა თუ რა დატვირთვა აქვს მტკიცებულებას სისხლის სამართლის პროცესში. ამ დასკვნის გამოტანაში დაგვეხმარა როგორც

ეროვნული კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა, ასევე საერთაშორისო სტანდარტები.

ჩემს მიერ წარმოდგენილ ნაშრომში ეროვნული კანონმდებლობისა და იურიდიული ლიტერატურის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა მტკიცებულებათა სახეების ნიშან-თვისებები და მათან არსებული პრობლემები. კერძოდ კი, ბრალდებულისა და მოწმის ჩვენებების თავისებურებანი, რომელმაც შეიძება იმოქმედოს მის დასაშვებობაზე სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში. ასევე, ნივთიერი და დოკუმენტური მტკიცებულებების მოპოვებასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები.

ამ საკითხებთან დაკავშირებით დეტალურად იქნა განხილული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და დადგინდა, რომ ბრალდებულს უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება, განსაკუთრებით საკუთარი თავის წინააღმდეგ. ამასთანავე, მისგან წამებისა და არაადამიანური მოპყრობით მოპოვებული ჩვენება არის დაუშვებელი მტკიცებულება. იგივე პრინციპი მოქმედებს მოწმის ჩვენებაზეც და ამას ამყარებს „კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ“.

რაც შეეხება ნივთიერ და დოკუმენტურ მტკიცებულებას, მისი განხილვის დროს აუცილებელი გახდა გამოკვლევულიყო თუ რა შემთხვევაში შეიძლება იგი სისხლის სამართლის საქმეს დაერთოს მტკიცებულებად. მიდი გამოკვლევისას დადგინდა, რომ სისხლის სამართლის სამქმეზე მისი დასაშვებობა დამოკიდებულია მის ავთენტურობაზე და საპროცესო დამაგრებაზე. ანუ, თუ ეს ორი პროცედურა დარღვეულია ასეთი სახის ნივთი თუ დოკუმენტი ვერ გახდება მტკიცებულება.

ნაშრომში ძირითადად ყურადღება არის გამახვილებული მტკიცებულებათა დასაშვებობის პროცესუალურ ასპექტებზე. რადგან მართლსაჯულების განხორციელებისათვის საჭიროა მხოლოდ ისეთი სახის მტკიცებულებების გამოყენება, რომელიც არ არის კანონის დარღვევით მოპოვებული. გამომდინარე იქიდან, რომ კანონმდებლობა არ აწესებს იმ კრიტერიუმებს, რომლებიც დასაშვებობისთვის საჭიროა, მტკიცებულება იმ შემთხვევაშია დასაშვები თუ მისი

დაუშვებლად ცნობის საფუძველზე არ არსებობს. სწორედ ამიტომ მოქმედი საპროცესო კოდექსი დაუშვებლად მიიჩნევს ისეთი სახის მტკიცებულებებს: 1. რომელიც კანონის დარღვევით არის მოპოვებული და ამის საფუძველზე იქნა ახლი მტკიცებულების მოპოვება; 2. მტკიცებულება მართალია მოპოვებულია კანონის დაცვით, მაგრამ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ იგი შესაძლოა გამოცვალებს ან შეიცვალოს ნიშან-თვისებები.

ნაშრომში ასევე განხილულია ცალკეული სახის მტკიცებულებების დასაშვებობის პრობლემები. სადაც დეტალურად არის გამოკვლეული „მონამლული ხის ნაყოფის თეორია“, რომელსაც იზიარებს საქართველოს კანონმდებლობაც. თუმცა, აქ წაფანცდით პრობლემას, რომელიც ეხება ამ თეორიის საგამონაკლისო შემთხვევებს, რასაც არ იზიარებს ეროვნული კანონმდებლობა. კერძოდ, იმიტომ, რომ მოსამართლე შემრუდულია დამოუკიდებელ გადაწყვეტილების მიღებაში, რაც გარკვეულ შემთხვევებში მიზანშეწონილი არ არის, რადგან არის შემთხვევები, როდესაც კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებასა და მის საფუძველზე მოპოვებულ კანონიერ მტკიცებულებას შორის მიზგზობრივი კავშირი აღარ არსებობს. ამ შემთხვევაში უნდა იყოს შესაძლებელი, რომ გამოყენებულ იქნას დამოუკიდებელი წყაროს და განწმენდილის ნაკლის გამონაკლისის გამოყენება.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფები

1. აქუბარდია ი., დაცვის ხელოვნება, თბ., 2011;
2. ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2011;
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბერის მდგომარეობით, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2015;
4. ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), სახელმძღვანელო, თბ., 2013;
5. სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები, ავტორთა კოლექტივი, მეორე გამოცემა, გამომც. „სამართალი“, თბ., 2009;
6. თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014;
7. ჩხეიძე ი., მტკიცებულებათა დასასველობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2010;
8. ხარაზიშვილი ბ., მტკიცებითი სამართალი (ნარკვევები), თბ., 1982;
9. სახელმძღვანელო იურისტებისთვის სასამართლო ექსპერტიზის, ექსპერტი მოწმის დაკითხვისა და მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ, ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივის (ABA ROLI) რედაქტორობით, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2002;
10. ჩომახივილი ე., თომაშვილი თ., ძეზნიაური გ., ოსეთაშვილი ს., პატარიძე მ., მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2016;
11. ცაცანაშვილი მ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, ტ. I, თბ., 1995;
12. ნადარეშივილი გ., სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2008;
13. ცაცანაშვილი მ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, ტ. I, თბ., 1995;

14. ჭელიძე ს., საკანდიდატო დისერტაცია „ნივთიერ მტკიცებულებათა გამოყენების პრობლემა მკვლევლობის საქმეთა გამოძების პროცესში, თბ., 2005;
15. ნადარეიშვილი გ., ნარკვევები სამართლის ისტორიიდან, გამომც. „საბჭოთა სამართალი“, თბ., 1986;
16. ბიჭია მ., ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, გამომც. „იურისტების სამყარო“, თბ., 2013;
17. სახელმძღვანელო იურისტებისთვის სასამართლო ექსპერტიზის, ექსპერტი მოწმის დაკითხვისა და მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ, ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივის (ABA ROLI) რედაქტორობით, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2002;
18. კავკასიის სამართლის სკოლა, ჟურნალი N6, „სამართლებრივი განვითარება“, სტუდენტთა მე-9 სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეთა ნაშრომები, 2014
19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე #4, 2009;
20. კავკასიის უნივერსიტეტი, ჟურნალი N6, „სამართლებრივი განვითარება“, სტუდენტთა მე-9 სამეცნიერო კომფერენციის მონაწილეთა ნაშრომები, 2014;
21. ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011;
22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი, „მართლმსაჯულება და კანონი“, #1(53)'17.

ნორმატიული აქტები

23. საქართველოს კონსტიტუცია, 1995;
24. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 1950;
25. კონვენცია „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ“, 1975;

26. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება, 1998;
27. საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 1966;
28. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998;
29. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009;

სასამართლო პრაქტიკა

30. საქმე N134აპ-14, თბ., 2014, 28 ივლისი;
31. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე N1/1/548;
32. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N2/2/579, 31/07/2015;
33. თბილისის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება , #989აპ-08;
34. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საქმეზე N1/ბ-55512,07/11/2012.

უცხოური ლიტერატურა

35. Nardonev.United States,308 U.S 338 (1939)
36. Weeks v. United states,232 U.S.383(1914)
37. State v. O'BREMSKI 70 Wn.2d 425 (1967),423 P.2d 530.The Supreme Court of Washigton ,Departament One.
38. Soto v. NewYork (1:15-cv-07032),District Court .S.D New York
39. bradley, C. M.: The Emerging International Consensus as to Criminal Procedure Rules, 14 Michigan Journal of International Law,p.171,1993.

